# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 22 ნოემბერი, 2011 წელი.

№220 (6851)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# ხელისუფლება და მდიდარი



შეუძლებელია უსმენდე მთელ ამ სიცრუეს, რომელიც მოდის საინფორმაციო საშუალებებიდან. ყოველდღიური ტრაბახი და სიცრუე სააკაშვილის მიღწევების შესახებ უკიდურესად შეურაცხმყოფელია. აღმაშფოთებელია, რომ სააკაშვილი საზოგადოებრიობას ასე სულელად მიიჩნევს

③

# ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნის განცხადება

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია, რომელიც 25 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობების გამო გადაიდო. გვინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ 3 ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე, ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სპორტის სასახლისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ადმინისტრაციასთან, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე დასწრების საშუალება. მოლაპარაკებების პროცესში მუდმივად გვთავაზობდნენ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს, მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ 25 ნოემბერს შენობის ნაწილი, ე.წ. ივენთ-ჰოლი სხვა ღონისძიებით იყო დაკავებული. ამ ფაქტის გადამოწმება სატელეფონო ზარით ვცადეთ და აღმოჩნდა, რომ ის სიმართლეს შეესაბამებოდა. ისედაც შეზღუდული სივრცის ფართის ნაწილში პრეზენტაციის გამართვა შეუძლებელი გახდებოდა და საზოგადოების უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 3 ნოემბრიდან დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკება სპორტის სასახლის ადმინისტრაციასთან. ჩვენ ვითხოვდით დარბაზის გამოყოფას ნებისმიერ დღეს 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. მივიღეთ სიტყვიერი უარი, მიზეზად კი უკვე ჩანიშნული ღონისძიებები დასახელდა. სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ განგვიცხადა, რომ დარბაზი 1 იანვრამდეა დაკავებული, თუმცა არ დაუკონკრეტებია თუ რომელი წლის 1 იანვრამდე. ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ მოლაპარაკების ოფიციალურ ფორმაზე გადასულიყვნენ, გაიგზავნა წერილი სპორტის სასახლის ადმინისტრაციის სახელზე. პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაჭიანურების. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის პირველი პრესკონფერენციის პირდაპირ ეთერში ტრანსლირების საკითხის გადაწყვეტის დროს. აშკარაა, რომ გადაწყვეტილებების მიღების სქემა ერთი და იგივეა და ამ სქემაზეა მორგებული სპორტის სასახლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 25 ნოემბრისთვის დაგეგმილი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია დროებით გადაიდო და ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო შეეცდება პრეზენტაციის კონკრეტული თარიღი უახლოეს დღეებში გაცნობოთ.

# ველოსიპედი, „შლოკანცი,“ რეიგანი...

④



# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ბოლო პერიოდი

რა იქნება ხვალ?

⑥

# აფხაზებს რუსეთთან შეერთება არ სურთ

⑦

# დასაქმდით! დასაქმდით! დასაქმდით ყველა!

⑤



ვაშა სახსტაბს და ვაშა პარტიას, ხალხისთვის მზრუნველ ნაცმოძრაობას!

№ 220. სამშაბათი, 22 ნოემბერი, 2011 წელი.

## ალიანსალიანი



### დიმიტრი მედვედევი: მიუხედავად ქვეყნებს შორის პრობლემებისა, ეკლესია ხალხებს აერთიანებს

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და პატრიარქი კირილი სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურებს, მათ შორის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შეხვდნენ.**

**— მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის შეიძლება არსებობდეს სირთულეები, გლობალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური პრობლემები, ეკლესია არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ხალხებს შორის ურთიერთობებს განამტკიცებს, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ეკლესიების მეთაურებთან შეხვედრაზე.**

**— მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობა — ეს არის მთავარი შემადგენელი ნაწილი საერთაშორისო განვითარების, — აღნიშნა მედვედევმა.**

### ნიკიტა მიხალკოვი: ევრაზიის კავშირი უსაქართველოდ ღარიბი იქნება



**წარმოიდგინეთ, შეიქმნას ევრაზიული კავშირი და მასში საქართველო არ შევიდეს. ერთმანეთის გარეშე რას გავხდებით? ჩვენი ურთიერთსაჭიროება მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებს, მე პირადად, ქართული იუმორი ძალიან მაკლია, — განაცხადა რეჟისორმა.**

**მისი თქმით, ევრაზიელობა არა მხოლოდ კონტინენტურ, არამედ ცივილიზაციურ ხასიათსაც ატარებს.**

**ევრაზიის კავშირის შექმნის იდეა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს ეკუთვნის. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა გაზეთ „იზვესტიაში“ სტატია გამოაქვეყნა, სათაურით — „ახალი საინტეგრაციო პროექტი ევრაზიისთვის — მომავალი, რომელიც დღეს იბადება“. რუსი პრემიერის პროექტს დასავლეთში უკვე უწოდეს საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობა.**

**ასტანაში ევროპული და აზიური მედიასაშუალებების მე-6 ფორუმი მიმდინარეობს. მასში დსთ-ის გარდა, საქართველოსა და ბალტიის ქვეყნების მედიის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.**

ინტერპრესნიუსი

## რეპლიკა

**ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა გძულდეს რომელიმე მხარე საქართველოსი, ისეთი ცილი დასწამო, ანტიქრისტეც რომ არ იკადრებს. აღარ შევაწუხებ უვიც ნაძირალებსა და ქკუიდან გადამდგარ ერზაცებს, გნებავთ — პიგმეებს.**

საკუთარ თვალებს ვერ დავუჯერე და ჩემს პატარა გიორგის მივეცი, სიტყვა-სიტყვით წამიკითხემეთქი. საუბარია გაზეთ „ალიაში“ (№88, 11-14ნოემბერი, 2011წ.ძ დასტამბულ ჟურნალისტ(?ძ თამარ ოქრუაშვილის ინტერვიუზე, რომელიც აუღია ფონდ კასცის (რომელიც, ჟურნალისტის თქმით, 11 წლის წინათ დაარსებულა პატრიარქის ინიციატივითძ ხელმძღვანელ მერაბ ხიდაშელისაგან. ბატონი მერაბი, ამჯერად ძვირფასი თამარის რესპონდენტი, კატეგორიულად აცხადებს, რომ **„აჭარის მაღალმთიან სოფლებში ქალები მონებად მუშაობენ. მე ვიცი, ქალები ქმრებსა და მამამთილებს დაბმულები ჰყავთ და ისე ამუშავებენ ცხოველებივით. ის ქალები სრულყოფილ ბავშვებს ვერ აჩენენ“.**

უფალო „ალიას“ რედაქტორო, როგორც ვხედავთ, მართლაც ბნელა საქართველოს დედაქალაქში, თორემ დღის სინათლეზე, გნებავთ ნეონის შუქით განათებულ კაბინეტში, ამ სისულელეს დაბეჭდვის ვიზას როგორ მისცემდით?! ძვირფასო ჟურნალისტო, თამარ, ვთქვათ და რესპონდენტი მართლაც გიჟია, ან პირველადაა საქართველოში და თავი პაპუასების ქვეყანაში ჰგონია, ამ სისულელეს მწვანე შუქს რომ უნთებ, რომელი საუკუნის ჭურში ზიხარ?!

ძვირფასო რესპონდენტო, „თავის დროზე პატრიარქის ინიციატივით დაარსებული“ ფირმის ხელმძღვანელო, ვთქვათ და პატრიარქმა წაიკითხა ეს სისულელე, მერე სად ჯანდაბაში მიდიხარ?! შეიძლება გძულდეს აჭარა და აჭარლები, ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ ისეთი ცილისწამება, უკეთ რომ ვთქვა, ბლეფი დაახეთქეო, უზნეობის ჩარჩოშიც არ თავსდება. არა მგონია, საერთოდ ნამყოფი იყოთ აჭარაში, მით უფრო მის მაღალმთიან სოფლებში. გთხოვთ, ძვირფას თამართან ერთად ჩამობრძანდეთ. ნუ შეგეშინდებათ, მეგზურობას მე გაგიწევთ, თქვენ არავინ დაგაბამთ და თუკი მსგავს სურათს წააწყდებით, ნებას გაძლევთ ამ სტრიქონების ავტორი დააბათ. თუ არა და თვითონ დააბით ერთმანეთი, რადგან არც მე და არც რომელიმე აჭარელი, თუნდაც მთის სოფლიდან იყოს, ამას არ გაკადრებთ.

## დაბმული აჭარელი ქალები, დასაბმელი თბილისელი ჟურნალისტი და მისი რესპონდენტი



ჯერ ერთი, რომ აჭარელი კაცი (და ქალიცძ ღვთაებრივად ოჯახის ერთგული და შრომისმოყვარეა, ამისათვის მისი დაბმა სულაც არ არის საჭირო და მეორეც, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა ამუშავო დაბმული ადამიანი, სულერთია, ქალი იქნება თუ კაცი?!

აჭარაში, მით უფრო მთიან სოფლებში, ოჯახისა და ქალის კულტია და თქვენ მიერ აფიშირებული ტყუილი, ანომალიასაც კი არ ექვემდებარება! ნახევარხუმრობით გეტყვით: რომ დაგეწერათ — ქალები აბამენ ქმრებსო, იქნება ვინმე შეგეცდინათ. აჭარლები და მით უფრო მთის სოფლებში, ცოლ-ქმარი ურთიერთპატივისცემის მაგალითით ზრდიან შვილებს. თქვენ მიერ ანონსირებული სიყალბე, ათასწლეულების იქით, მატრიარქატისა და პატრიარქატის ბრძოლის დროსაც კი წარმოუდგენელია. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს უნებლიე შეცდომაა და არა შეგნებულად ტალახის სროლა ამ ჭირგამოვლილ მხარეზე, გნებავთ ქართველობაზე, რომლის ხერხემალზეც თურქულმა სამსაუკუნოვანმა აგრესიამ მეწყერივით გადაიარა.

რატომ არ ამბობთ, რომელ სოფელში ნახეთ მამამთილისა და ქმრის მიერ დაბმული ქალები, იქნებ მათი სახელებიც იცით, რომელ სოფელში ნახეთ არასრულყოფილი ბავშვები?!

თქვენ შეუგნებლად (იქნებ შეგნებულადაცძ, შეურაცხყავით მეგრელი დედები. აბა დააკვირდებით წაიკითხეთ კიდევ ერთი მარგალიტი: „საქართველოში ჰყავის პედოფილია. მახსოვს, 2002 წელს მანქანით დავუდარაჯდით, მეგრელი დედა იყო, თავისი 11 წლის შვილს აქირავებდა“. თქვენ ამ ანომალიას ყველა მეგრელ დედაზე ავრცელებთ. სინტაგმა „მეგრელი დედა“ მთელი სამეგრელოს შეურაცხყოფაა. უნდა დაგეწერათ მისი სახელი და გვარი და არა მეგრელი დედა. არ თქვათ ახლა სახელი არ ვიცოდიო, მაშ, საიდან იცოდით, რომ მეგრელი დედა იყო. ამის შემდეგ ინტერვიუში მოყვანილი მართლაც საგანგაშო ფაქტებს აღარ დაგიჯერებს მკითხველი.

გეხსომებათ, „რუსთავი-2“-ის ეთერში ერთი მკერდსავსე ქალბატონი წუხდა, ქმარი მაიძულებს ცირკთან დავდგე და კლიენტებს მოვემსახუროო. იქნებ ცირკთან აბამდა კიდეც. ანომალიაზე საუბრის დროს, დიდი სიფრთხილეა საჭირო. ამ პრობლემას სხვა ფორმით უნდა ვებრძოლოთ და არა მისი საჯარო განსჯა-რეკლამირებით. რატომ არაფერს ამბობთ იმის შესახებ, რომ ეს დასავლური „ღირებულებაა“?! რომ ეს ძალადობა, გარყვნილობა, უზრდელობა და კიდევ ბევრი რამ, საიდანაა ჩვენში კულტივირებული?! რატომ არ ასახელებთ იმ სამ პარლამენტარს?

ვიმეორებ, „დაბმული აჭარელი ქალების“ თემა თქვენ მიერ შეგნებულად შეთხზული ტყუილია, რითაც შეურაცხყავით ჩვენი მხარე. ღმერთის არ გეშინიათ, პატრიარქის არ გრცხვენიათ, რა პირითა და ნამუსით შეხვალთ სვეტიცხოვლის, გელათისა და სამების ტაძრებში, თუ მართლაც ანტიქრისტეები არა ხართ?!

**შოთა ზოიძე**
**ქ.ბათუმი. 21/11/2011.**

## ძმობის მომღერალი

# ერთ საწნახელში ჩამდგარი...

### სრულიად ოსების მსოფლიო კონგრესი სოჭში და რეზო ამაშუკელი...

ლონისძიება, რომელიც გასული ოქტომბრის მიწურულს გამართულა და სადაც, მიუხედავად ყველაფრისა, ძალუმად გაჟღერდა ოსი და ქართველი ხალხების შერიგების აუცილებლობის ნოტები. ალანთა ამ თავყრილობას, საქართველოს მხრიდან, სპეციალური მიწვევით, „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ესწრებოდა, რომელსაც ჩაუტანია კონგრესისადმი, გამოჩენილი ქართველი პოეტის რეზო ამაშუკელის მიმართვა:

**ძმებო, ოსებო!**

**მეც ალანი ვარ და ის ქართველი, რომელსაც ვერასდროს ააგლეჯენ გულიდან თქვენს სიყვარულს და პატივისცემას! შეჩვენებული მყავს ყოველი, ვინც ჩვენს შორის წყალი აამღვრია...**

**უცოდველი ღმერთია მხოლოდ!**

**სამი შვილთაშვილი მყავს და სამივე ვაჟია. მათ, აქედანვე ვუნერგავ თქვენდამი ძმობას!**

**— დიახ, ალანი ვარ და ის ქართველი, ვისაც ძარღვში დედუფალ ბორდუხანის სისხლიც დამიდის, ვინც ამაყია დავით სოსლანით!**

**ჩვენ ყველანი, დიდი კაცების, სიტყვის კაცების შთამომავლები ვართ, ამიტომაც დავდოთ ალალი სიტყვა და ვუერთგულოთ ბოლომდე ჩვენსავე ნათქვამს!**

**გილოცავთ ამ დღეს! ცრემლი მდის და გულწრფელი ვარ მე ამ ცრემლებში! სხვა რომ არაფერი ვთქვა, ღარიბი იქნებოდა მსოფლიო კულტურა „სიმდის“ გარეშე! ამ ცეკვის პატრონი ერი დახვეწილია და კეთილშობილი!**

**მე დამანგრია და დამღალა ამ ამღვრეულმა დრომ, თუ უფალი წამიყვანს, ერთი სანთელი თქვენც ამინთეთ, რამეთუ გულით მიყვარხართ და იმედი მაქვს ერთად ვიქნებით!**

**გეხვევით, თქვენი რეზო ამაშუკელი...**

**2011 წლის 26 ოქტომბერი**

ეს მიმართვა, სამ: ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წაუკითხავთ დარბაზში, რასაც, თემურ შაშიაშვილის გადმოცემით, შთამბეჭდავი ეფექტი მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე, რომელიც ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა მიმართვის შინაარსით აღტაცებული. იქამდეც კი, რომ ბევრს, თვალებიც აწყლიანებია...

აქედან გამომდინარე, კონგრესის ორგანიზატორთა ინიციატივით გადაწყვეტილა რომ, ნიშნად ოსი ხალხის პატივისცემისა, ბატონი რეზო ამაშუკელი დაჯილდოებულიყო ოქროს და ძვირფასი ქვებით შემკული ორდენით, რომელიც იქვე, კონგრესის მიმდინარეობის დღეებში დაუმზადებიათ.



მას ქართულად „საჩუქარი მეფეთათვის“ ჰქვია. ეს ხელით დამზადებული ხელოვნების ნიმუში, ჯერჯერობით ერთადერთია! იგი თბილისში თემურ შაშიაშვილმა ჩამოიტანა, ამას წინათ ბინაში ეწვია პოეტს და საზეიმო ვითარებაში გადასცა!



გამართულა, წაუკითხავთ, დაუმზადებიათ და ა.შ. მსგავსი განსაზღვრებებით ოპერირება იმად გვიწევს, რომ, რა თქმა უნდა, ხსენებული მოვლენის გაშუქება საჭიროდ არ ჩათვალეს ე.წ. ნაციონალურმა ტელევიზიებმა. სხვათა შორის ზუსტად ისევე, როგორც არ გაუშუქებიათ რეზო ამაშუკელის, გადაუჭარბებლად ვიტყვით, პოეზიის ტრიუმფალური საღამო პარიზის მოლიერის თეატრში, სადაც შევალიეს რაინდობა უბოძეს და შესაბამისი ორდენითაც დააჯილდოვეს. ეს მგონი მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაწერა თავის დროზე და აგერ 7 თუ 8 წელიწადია, ამ საღამოს ამსახველი მასალა, „თაროზე აქვთ შემოდებული“ მიშავიზიებს. იგივეს თქმა შეიძლება, ამას წინათ, რუსთაველის თეატრის გადაჭედილ დარბაზში ჩატარებული, პოეტის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს შესახებ, რომელიც ჭეშმარიტი პოეზიის ზეიმთან ერთად, „მიშა გადადექი“, საპროტესტო აქციაც იყო. და დიდი ალბათობით, ქსენოფობიასთან ერთად, რობიკო სტურუას ექსორიის ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახდა!

დაახლოებით იგივე ხდება ახლაც — გასაგებია, რომ რეზო ამაშუკელის მიმართ, როგორც რუსები იტყვიან და გიორგი დანელიას გენიალურ „მიმინოშია“, ხელისუფლება — „такую личную неприязнь испитивает, что кушать не может“. მაგრამ დალოცვილო, მოლიერის თეატრის არ იყოს, ეს „მეფეთა საჩუქარიც“ განა მხოლოდ რეზო ამაშუკელის პირადი საჩუქარია? ეს ორდენი ხომ იმ ყველა ქართველის ჯილდოც არის, ვისაც პოეტივით მამულისათვის უძგერს გული! აღარაფერს ვიტყვი ზოგადად ოსთა კონგრესის მნიშვნელობაზე, სადაც ქართველთა და ოსთა მარადიული ძმობის ჰიმნი ჟღერდა და ჩვენს შორის, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსთა მიერ ჩატეხილი ხიდის გამთელებისკენ მიმართული ნაბიჯიც იყო...

ერთი სიტყვით, ვისაც გაინტერესებთ, ინტერნეტში აკრიფეთ tetrebi.org და თავად იხილეთ ინტერნეტტელევიზიით, თუ რაზეა საუბარი წინამდებარე წერილში. ჩვენ კი ბატონ რეზო ამაშუკელს გულითადად ვულოცავთ კიდევ ერთ დამსახურებულ აღიარებას და ვინძლო ოდესმე ახდეს მისივე ლექსად ნანატრი:

**„...ეხილოს შვების საყდარი**
**მამულს, დაღლილს და გათელილს,**
**ერთ საწნახელში ჩამდგარი**
**ოსი, აფხაზი, ქართველი“...**

**დავით მხეიძე**



**ამ წერილის ავტორს, უშიშარ და პრინციპულ პუბლიცისტს დავით მხეიძეს დღეს დაბადების დღე აქვს. 55 წელიწადი იმდენად ლამაზი და იმედისმომცემი თარიღია, თამამად შეგვიძლია ვთქვათ — ცხოვრებისეული სიბრძნე და ნამდვილი „დალვინების“ ხანა ჯერ კიდევ წინ არის, ჩვენო დავით. ღმერთმა გადღეგრძელოს!**

# ხელისუფლება და მდიდარი

**ყველაზე მდიდარმა, გამოუცნობმა და პოპულარულმა ქართველმა ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა გამოწვევა გაუგზავნა მიხეილ სააკაშვილს. ვინ არის ეს გაბედული კაცი და რა ელოდება საქართველოს ამ შეტაკების შედეგად?**

უახლოეს დღეებში ქართველებს აჩუქებენ ახალ ოცნებას. ბანკ „როსიისკი კრედიტის“ დამფუძნებელი და მფლობელი, ყველაზე მდიდარი ქართველი ბიძინა ივანიშვილი ამ კვირაში აპირებს, მოაწყოს ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია. მოძრაობის ყრილობა გათვალისწინებულია, როგორც საქართველოში ეს სერიოზულ პოლიტიკოსებთან არის მიღებული, თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მართალია, შემოქმედებითი ინტელიგენცია დიდი პატივისცემით ეპყრობა ივანიშვილსა და მის უზარმაზარ დახმარებას ადგილობრივი კულტურისადმი, მაგრამ ფილარმონიაში ახალი ოპოზიციონერები შეიძლება არც შეუშვან. ხელისუფლების მხრიდან დიდად პატივცემული და საყვარელი ივანიშვილი ელვის სისწრაფით ხდება ყველაზე სახიფათო, უბოროტესი მტერი.

ოქტომბერში, ყველასათვის მოულოდნელად, ხალხში საყვარელი, მაგრამ დღემდე საჯაროობასთან უკვე მეტად თავშეკავებული, ისევე როგორც პოლიტიკური აქტივობისგან, ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა განცხადებით საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკის წინააღმდეგ. ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქმნის პარტიას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პარლამენტის უახლოეს არჩევნებში და აუცილებლად გაიმარჯვებს.

გავლენიანმა ოლიგარქმა არა უბრალოდ განაცხადა თავისი პოლიტიკური პრეტენზიების შესახებ, მან მიუთითა ფუნდამენტურ სხვაობაზეც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან, რომელიც უმალვე მისი იდეური მოწინააღმდეგე გახდა.

„მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების მონოპოლიზაციამ და განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, საიდანაც აშკარად მოჩანს სააკაშვილის სურვილი, შეინარჩუნოს ხელისუფლება და დარჩეს ქვეყნის სათავეში, მიუხედავად ყველა საკონსტიტუციო ვადის ამოწურვისა, მაიძულა, მიმეღო გადაწყვეტილება — შემექმნა პოლიტიკური პარტია და მიმეღო მონაწილეობა 2012 წლის პარლამენტის არჩევნებში. სააკაშვილის მმართველობის დროს დაშვებულ იქნა (და დღემდე გრძელდება) ისეთი ბევრი პატარა, დიდი და მიუტევებელი შეცდომა, რომ მის ადგილზე ნებისმიერი ჯანსაღად მოაზროვნე და გონიერი პოლიტიკოსი წავიდოდა პოლიტიკიდან ვადამდე და პატიებას სთხოვდა თავის ხალხს“, — განაცხადა ივანიშვილმა (ციტატები მოგვყავს მისი განცხადებებიდან ქართველ ჟურნალისტებთან).

„პოლიტიკოსი, რომელიც პატივს სცემს საკუთარ ქვეყანას, თავის ხალხს, ანდა ელემენტალურად აქვს თუნდაც თავმოყვარეობა, შეიცნობდა, რომ შეუძლებელია დარჩეს პოლიტიკაში ლეგიტიმური გზით და არ შეეცდებოდა შეეცვალა კანონიერება: ჯერ ერთი, — ძალადობით, მეორეც — სიცრუით“. და იმ ადამიანისგან, ვინც ასობით მილიონი დოლარი გაიღო ქველმოქმედებაზე საქართველოში, გახდა უკიდურესად პოპულარული, — ეს გაისმის, როგორც განაჩენი.

ივანიშვილმა ჩამოთვალა ძირითადი პრეტენზიები სააკაშვილის პოლიტიკისადმი: ძალისმიერი ზემოქმედება ბიზნესზე, უკანონობაზე, რასაც ყველგან ჩადიან სპეციალური სამსახურები, უკიდეგანო სახელმწიფო პროპაგანდა და სიტყვის თავისუფლების დათრგუნვა.

„შეუძლებელია უსმინდე მთელ ამ სიცრუეს, რომელიც მოდის საინფორმაციო საშუალებებიდან. ყოველდღიური ტრაბახი და სიცრუე სააკაშვილის მიღწევების შესახებ უკიდურესად შეურაცხმყოფელია. აღმაშფოთებელია, რომ სააკაშვილი საზოგადოებრიობას ასე სულელად მიიჩნევს. პრეზიდენტის მიერ ქვეყანაში შექმნილი სიცრუის მანქანა ურთულებს გამოყოს შავი თეთრისგან არა მხოლოდ ჩვეულებრივ მოქალაქეს, არამედ პროფესიულ ანალიტიკოსებსაც“, — ანადგურებს ქართველი ლიდერის რეპუტაციას მეცენატი.

„სააკაშვილს არ შეუძლია შეიგნოს მთავარი: რაც უფრო დიდხანს დარჩება იგი სახელმწიფოს სათავეში, მით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს ქვეყანას და ბუნებრივია, მით უფრო მძიმე იქნება თავად მისი პირადი ბედიც, — ეს უკვე გაისმის, როგორც დაშინება. — თუ გავიხსენებთ ჩვენს უახლოეს ისტორიას, სამიდან ორი პირველი პრეზიდენტი ჩვენ ჩამოვაგდეთ ვადამდე ადრე, მესამემ კი შეიძლება ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს“.

ივანიშვილი აღიარებს, რომ „2008 წლის არჩევნების ფალსიფიცირების შემდეგ მიილო გადაწყვეტილება, დაეხმაროს ოპოზიციურ ძალებს და სერიოზულად ადევნებდა თვალყურს, რათა გაეკეთებინა სწორი არჩევანი, თუ ვის და როდის დაეხმაროს“. ეტყობა, მან ვერ გამონახა ღირსეული პარტნიორი და გადაწყვიტა თავად შეექმნა საკუთარი პოლიტიკური მოძრაობა.

მან გამოაცხადა თავისი მიზნების შესახებაც უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში.

1. მიაღწიოს გამარჯვებას აბსოლუტური უმრავლესობით 2012 წლის პარლამენტის არჩევნებში.

2. დაამუშაოს ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელი, განახორციელოს ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა შეცვლაც მომავალში არც შესაძლებელი იქნებოდა და არც იმის სურვილი გაჩნდებოდა, რომ მოირგოს ვინმემ თავისთვის კონსტიტუცია.

3. მიიღოს პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა ახალი მთავრობის ფორმირებაში და იკისროს პასუხისმგებლობა მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის, რათა მთლიანად გამორიცხოს ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც ჩაეფლო სააკაშვილის დღევანდელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები.

4. გახადოს პერსპექტიული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებზე საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა.



5. დაიწყოს ურთიერთობათა მოწესრიგება რუსეთთან.

6. გააღრმავოს მეგობრობა და ინტეგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან.

„ეს არის — ომი! — ერთხმად ამბობენ ანალიტიკოსები. — ღია ომის გამოცხადება სააკაშვილის წინააღმდეგ“.

ამბოხებული ოლიგარქის პირველ პრესკონფერენციაზე მოვიდა 200-ზე მეტი ჟურნალისტი. დარბაზში ისეთი ხმაური იყო, რომ ზოგჯერ ვერც კი გაიგონებდი, თუ რას ამბობდა ახალი პოლიტიკური სენსაციის ავტორი. ივანიშვილმა შესთავაზა „ყველა ჟურნალისტს, ვინც გაათავისუფლეს ობიექტურობისა და პრინციპულობისთვის, მომავალი პოლიტიკური პარტიის შტაბში მისთვის იქნება ადგილი არანაკლები ანაზღაურებით, ვიდრე ეს მათ ახლა აქვთ“.

მან განაცხადა უზარმაზარი მედია ჰოლდინგის შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანი ხდება სახელმწიფო პროპაგანდის წინააღმდეგ მოქმედება.

„მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე უარვყოფდი პოლიტიკაში საკუთარი მოსვლის ალბათობას. მიმაჩნდა, რომ, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, თავისუფალს ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებებისგან, შემეძლებოდა გამეკეთებინა უფრო მეტი, მაგრამ დღევანდელმა პოლიტიკურმა გარემოებამ აშკარად მიჩვენა ჩემი შეხედულებების შეცვლის აუცილებლობა. ხანგრძლივი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ მე არჩევანი აღარ მქონდა“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ის აღიარებს, რომ მისი ბიზნესის ერთი მესამედი თავმოყრილია რუსეთში და რომ მას უახლოეს პერიოდში განზრახული აქვს ყველაფერი გაყიდოს. „ამავე მიზეზით უარს ვამბობ ორმაგ მოქალაქეობაზე და უახლოეს დღეებში ჩავაბარებ რუსეთისა და საფრანგეთის პასპორტებს, — გააოცა ყველა ახალმა ქართველმა პოლიტიკოსმა. — კარგად მაქვს გაცნობიერებული ისიც, რომ დარჩენილი ცხოვრება დამჭირდება, რათა დავუმტკიცო საზოგადოებრიობას ჩემი გულწრფელობა“. ივანიშვილმა ააფორიაქა თითქმის ერთი წლის წინათ მიყუჩებული საქართველო.

როგორ უპასუხეს მას? ივანიშვილმა ვერ მოასწრო თავისი რუსეთის და საფრანგეთის პასპორტების ჩაბარება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკვე მას ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა. „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბიძინა გრიგოლის ძე ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 2004 წლის 22 ივლისს. დადგენილია, რომ ბიძინა ივანიშვილმა მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა 2004 წელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ. ზემოაღნიშნული ვითარებების გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ გათვალისწინებით, ბიძინა ივანიშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა“, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რამ აიძულა საზოგადოებრივი ყურადღებისგან ყოველთვის მორიდებული ბიზნესმენი, გამოსულიყო ჩრდილიდან და დაცვის ქვეშ დაეყენებინა თავისი კეთილდღეობა? „ის ყოველთვის ძალიან ფრთხილი იყო ხელისუფლების წინაშე. ყოველთვის იყო უკიდურესად ფრთხილი და არსად არ ძვრებოდა. არ მესმის, თუ რა მოხდა, — უთხრა „ოგონიოკს“ ივანიშვილის ერთ-ერთმა ყოფილმა რუსმა ბიზნეს-პარტნიორმა. — ყველაზე ნაკლებად განდიდების მანიაზე ვფიქრობდი. ეს ყველაფერი ჩემთვის გამოცანაა“.

ივანიშვილი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა 2004 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ის მოსკოვს გაემგზავრა ბიზნესის გასაკეთებლად 1990 წელს და ძალიან მალე კოოპერატორიდან მილიარდერი გახდა. უნდოდა გამოეშვა არმირებული შლანგები, მაგრამ ის მომავალი ოლიგარქების ტიპურმა ბიზნესმა გაიტანა — კომპიუტერების გაყიდვამ. მოსკოვში ის შეუერთდა მომავალ პარტნიორს ბანკ „როსიისკი კრედიტიდან“ ვიტალი მალკინს. მასთან და კიდევ ორ დოცენტთან ერთად რომელიღაც ინსტიტუტიდან, მათ დაიწყეს სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკის გაყიდვა, და საკმაოდ სწრაფად კომპანიიდან გადაიქცნენ მოწყობილობის უდიდეს მოვაჭრეებად.

შემდეგ ივანიშვილმა გადაწყვიტა შეექმნა ბანკი „როსიისკი კრედიტი“, რომელიც ასევე სწრაფად და წარმატებით ვითარდებოდა.

„მას აქვს მეტად მახვილი ინტუიცია, ის არ ენდობა ბიზნეს სქემებს, არამედ ცდილობს, ყველა გადაწყვეტილება მიიღოს ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე. ამ დროს არასოდეს ჩქარობს, ყველაფერს ასჯერ გაზომავს და აწონ-დაწონის, — გვიამბობს მასთან დაახლოებული ერთ-ერთი ბიზნესმენი. — მის გარემოცვაში ბევრი ქართველი იყო. ის ნათესავებს უზიარებდა თავის შეხედულებებს, აცნობდა მთელ სისტემას. დეპარტამენტის ყოველ უფროსთან ჰყავდა თავისი მეთვალყურე, მართალია თანამშრომლებთან ურთიერთობაში რჩეულებს არ გამოყოფდა და ნებისმიერთან შეეძლო განეხილა საინტერესო იდეა“.

ბუნებრივია, ივანიშვილს, როგორც ნებისმიერ ქართველ მეწარმეს, მიიჩნევდნენ მაფიოზებთან კავშირში. თავად მან თავის ერთ-ერთ იშვიათ ინტერვიუში გაზეთ „ვედომოსტისთან“ 2005 წელს ეს უარყო: „მე დავიწყე თანამშრომლობა სამართალდაცვის ორგანოებთან. 1993 წელს ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ვლადიმერ რუშაილოსთან ერთად, რომელიც დამეხმარა მოძებნა ჩემი ძმა, ჩემი ინიციატივით რუშაილოს ორგანიზაციაში შეიქმნა სტრუქტურა, რომელსაც ბანკი აფინანსებდა, შემდეგ ვთანამშრომლობდი სხვა დიდ კომერციულ სტრუქტურებთან. ორგანიზაციის თანამშრომლები ერთი ზარის შემდეგაც კი მოდიოდნენ ჩვენთან და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეს სტრუქტურა ეფექტიანად მუშაობდა. 1997 წელს კი ჩვენ გადავაწყდით კრედიტების დაუბრუნებლობის პრობლემას და, იმის ნაცვლად, რომ დაგვხმარებოდნენ, მისმა თანამშრომლებმა დაიწყეს ქრთამების აღება მათგან, ვისაც ჩვენი ვალი ჰქონდა. ამაზე ჩვენი თანამშრომლობა შეწყდა.

ამას ადასტურებენ მისი პარტნიორებიც. „რუსეთში ტრადიციულად ძლიერი იყო ქართული კრიმინალური წრეების გავლენა. მაგრამ მის გარშემო არ მინახავს აშკარა კრიმინალური ადამიანები. ის არასოდეს ტრაბახობდა ქართველ ავტორიტეტებთან ნაცნობობით, ამას არ უსვამდა ხაზს, — უამბო ჩვენს ჟურნალს რუსეთელი მილიარდერების სიიდან ერთ-ერთმა ფიგურანტმა. — მას შეეძლო გამოემჟღავნებინა პირადი აგრესია. იყო მკვეთრი გამოთქმებში იმ ადამიანებთან, ვინც მას ემუქრებოდა. მაგრამ იყო მეტად ფრთხილი“.

ივანიშვილის რეალური გავლენა ყოველთვის იყო გაცილებით მეტი, ვიდრე ეს შეიძლებოდა გარედან მოგვჩვენებოდა. ის შედიოდა ბანკირების პულში (მონოპოლიის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც ყველა მონაწილის მოგება მიდის საერთო ფონდში და შემდეგ ინაწილებენ წინასწარ დათქმული პროპორციით — მთ.). ეგრეთ წოდებულ შვიდბანკიანობაში, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა პრეზიდენტ ელცინის არჩევნებში 1996 წელს. მაგრამ მან აქაც ბევრი გააოცა იმით, მაგალითად, რომ მხარს უჭერდა ალექსანდრ ლებედს. „მე დაწვრილებით ვსწავლობდი ალექსანდრ ლებედს, როდესაც იგი პოლიტიკიდან იყო გაგდებული. მაშინ მე ჩამრთეს ეგრეთ წოდებულ შვიდბანკიანობაში. ელცინის წინასაარჩევნო შტაბის წევრები, რომელსაც ანატოლი ჩუბაისი ხელმძღვანელობდა, ლებედს სერიოზულად არ მიიჩნევდა. მე კი ბანკის ოფისში განვათავსე მისი წინასაარჩევნო შტაბი, ვაფინანსებდი მას. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ყველამ გაიგო, რომ მე ვიყავი მართალი: ელცინს ჰქონდა დაბალი რეიტინგი, ლებედმა არჩევნებზე თავისი ხმები ელცინს მისცა, რითაც უზრუნველყო მისი გამარჯვება. ჩემთვის კი მაშინ მადლობაც არავის უთქვამს, ხოლო, როდესაც ლებედი შეცვალეს (უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობის პოსტიდან), ყველამ გაიხსენა, რომ იგი მე მოვიყვანე, და ყველამ უკიდურესად მაქცია. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პოლიტიკაში ვმონაწილეობდი“, — აღიარებს იგი რამდენიმე წლის შემდეგ.

1998 წლის კრიზისის შემდეგ ივანიშვილის ბანკი გაკოტრების პირას აღმოჩნდა მილიარდი დოლარის ვალით, და საკმაოდ დიდხანს და დაჟინებით გამოდიოდა იგი კრიზისიდან, აფორმებდა სხვადასხვა საბანკო ალიანსებს, ჰყიდდა წილებს სხვა ბიზნესებში.

მას, როგორც მრავალი წლის შემდეგ აღმოჩნდა, ასევე დიდი წილი ჰქონდა ალუმინის ბიზნესში, კერძოდ, კრასნოიარსკის ალუმინის ქარხანაში. ივანიშვილის ხალხი ეხმარებოდა კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორს ლებედს მართვის სისტემის მოწესრიგებაში. ის იხსენებდა, რომ ის ძალით აიძულეს გაეყიდა აქციები, თუმცა დღემდე არ ამჟღავნებს, თუ ვინ იდგა კონკრეტულად ამ საქმის უკან.

მას სულ უფრო მეტად უჭირდა რუსეთში ცხოვრება. მისი მრავალრიცხოვანი მეგობრების აღიარებით, მას არ უყვარდა მოსკოვში ცხოვრება. მან ქალაქგარეთ აიშენა რეზიდენცია და ერჩია ყველა მიეღო იქ, ქალაქში ჩამოუსვლელად. მას შემდეგ, რაც გაიტაცეს მისი ძმა და ცდილობდნენ, მოეტაცათ მისი ერთ-ერთი შვილიც, მან გარშემო შეიკრიბა დაცვის მყარი რგოლი. შემდეგ თითქმის ერთი დღის განმავლობაში გაიყვანა მთელი თავისი ოჯახი საფრანგეთში და, ეტყობოდა, რომ რუსეთში აღარ უნდოდა დაბრუნება.

ის საქართველოში ჩამოვიდა 2004 წლის ზამთარში, ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალიან მალე. იმ დროისთვის თბილისში უკვე დაფუძნდა მეორე მდიდარი ქართველი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ბორის ბერეზოვსკისთან ერთად გაექცა ვლადიმერ პუტინის რისხვას 2000 წელს.

პატარკაციშვილი და ივანიშვილი — ისინი სტილითა და ქცევითაც პრინციპულად განსხვავებული ქართველი მდიდრები არიან. ისინი კარდინალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ გასაოცარია, რომ მათი ბედისწერა გადაიკვეთება საქართველოში და შეიძლება განმეორდეს კიდეც.

ბადრი დემონსტრაციულად იქცეოდა, როგორც ერის არაფორმალური მამა, თუმცა რუსი ოლიგარქის მანერებით: შეისყიდდა უძრავ ქონებას და სხვა საინტერესო აქტივებს, მაგალითად, შეისყიდა მინერალური წყლის „ბორჯომის“ წყაროები. ის ისწრაფვოდა უსაზღვრო გავლენისკენ საქართველოში, ცდილობდა, მოეპოვებინა ქართველი ხალხის სიყვარული, მაგრამ ჩადიოდა უცნაურ რამეებსაც. რატომღაც იყიდა თბილისის ცირკის შენობაც, რომელიც კვლავ გაურემონტებელი დარჩა და ცარიელი.

იხ. 8 გვ.

# ძეგლები მოდიან, მიდიან...

## ველოსიპედი, „შლოპანცი,“ რეიგანი...

„რა უნდა რიყეზე რონის?! „რატომ უნდა დაიდგას?“

„რამდენი სისულელე უნდა გააკეთონ? ძალიან მაინტერესებს მათი პასუხი..“

„და რა დაჯდება ეგ „სიამოვნება?“

„მიკი მაუსის და დონალდ დაკის ქანდაკებას არ დადგამენ?“

„საწყალი რეიგანი... გადაივლის სავსე მთვარე და აჩვენებენ სეირს.“

„ინიციატივა, რა თქმა უნდა, ჩვენს მაღალს ეკუთვნის, ალბათ. სხვა ვინ გაბედავდა?“

ეს კომენტარები სოციალური ქსელიდან ამოვიწერე – იმ ინფორმაციის ქვეშ მიუწერიათ, რომელიც გვამცნობს, რომ თბილისში, რიყის პარკში აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ბრინჯაოს ქანდაკება დაიდგმება.

და რეიგანთან, – „კომუნიზმის დამარცხების სიმბოლოსთან“ ფოტოს გადაღება თურმე ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

უნდა ვიამაყოთ – ამ ძეგლთან ფოტოს გადავიღებთ და ამერიკელებს ვაამებთ. აშშ-ს მე-40 პრეზიდენტმა 1984 წელს პრეზიდენტობის მეორე ვადა მოიპოვა და 1989 წელს გამოემშვიდობა პრეზიდენტობას. რონალდ რეიგანი 2004 წელს 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ პატარა საქართველოში გარდაცვალებიდან 7 წლისთავზე მისი ქანდაკება დაიდგმებოდა.



რეიგანის მონუმენტს მისივე სიტყვები – „თავისუფლების შენარჩუნება ყოველი თაობის საზრუნავი უნდა იყოს“დაამშვენებს.

არა, ჩვენ თუ გულით გვინდა, რომ ჩვენი გათავისუფლება მაინც და მაინც რომელიმე ადამიანთან იყოს ასოცირებული... მაინც და მაინც რეიგანი უნდა ამოგვერჩია, რომელიც ჩემთვის და მრავალი სხვისთვის არ არის განმათავისუფლებელი.... იყო აშშ-ს ისტორიაში, ალბათ, ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი იყო, მაგრამ თბილისში მისი ძეგლი?... რაღაცით ხომ უნდა უკავშირდებოდეს ამ ქალაქს, ქვეყანას? თავისუფლების სიყვარული და მისი თავდებობა საკმარისი არ არის! მაშინ ავდგეთ და სპარტაკის ძეგლი დავდგათ, ან სამას სპარტელს დავუდგათ მონუმენტი (თუ ქართველები აღარ გვყოფნის), მაგრამ რეიგანი რატომ?

პასუხი არ არის, არც იქნება...ძეგლები კი მიდიან და მოდიან! არც აღარავის უკვირს, ისტორიული მონუმენტების ადგილას ყინულის მოედნები ან შადრევნები ანდა ველოსიპედი და „შლოპანცი“ დაამონტაჟონ.

ვახტანგ ონიანის 12-მეტრიან ამირანის ბრინჯაოს ძეგლს რომ გააქრობ სიღნაღის მისადგომებთან, რაზეა საერთოდ საუბარი? იხარჯება და იხარჯება მილიონები. სასახლეების, უსარგებლო ხიდების, მოსიარულე ძეგლების, შადრევნების, ყვავილების საათების შესაქმნელად, ათასობით მოშიმშილე თანამემამულენი კი ვის ახსოვს!...

ვინმემ იცის, ბათუმში ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ილია ჭავჭავაძის ძეგლი რით ჩაანაცვლეს? ზღვის რომაული ღმერთის, ნეპტუნის ქანდაკებააო, თუმცა ვინ არის კვარცხლბეკზე მდგარი ოქროსფერი მამაკაცი, ვეჭვობ, რომ ბათუმელებმა იცოდნენ.

„მე მომხრე ვარ, რომ დავდგათ ფროიდის, ნიცშეს, მორისონის და ფრენკ ზაპას ძეგლები და გავხსნათ ქუჩები... ისეთივე დიდი გავლენა მოახდინეს ჩემს ცხოვრებაზე, როგორც რეიგანმა...“

„რეიგანის ძეგლი სად დგას ამერიკაში, შეგიძლია დაასახელო? ეჭვი მაქვს, რომ ძირითადად თავდადებულ რესპუბლიკელებს უდგათ სახლებში. ორგანიზაციებს, სკოლებს და ფონდებს თუ ჰქვია, ეს არც მიკვირს. იმ ქვეყნის პრეზიდენტი იყო ბოლოს და ბოლოს. თან რეიგანის პიარფონდი ძალიან ზრუნავს მაგაზე.“

„მაგის დადგმას for egzampl ისევ ირაკლი ჩარკვიანის ძეგლი დაედგათ...“

„ძეგლი არ მინახავს და ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ რეიგანი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პოლიტიკოსი და პიროვნება იყო უახლოეს ისტორიაში.

„ბუშის ქუჩას ნამდვილად მირჩევნია....“

„მივესალმები რეიგანის გამოთქმას, რომ თავისუფლება უნდა შევინარჩუნოთ. მართლაც, ქართველებო, დღეს ყველაზე აქტუალურია ჩვენთვის ეს სიტყვები. თავი უნდა დავაღწიოთ ამ ჯოჯოხეთურ რეჟიმს, და ერთხელ და სამუდამოდ, მოვიპოვოთ თავისუფლება. ძეგლის დადგმა კი, განებივრებული და თავგასული ბაღანას მორიგი კაპრიზების შესრულებაა.“

ასე წერენ და წერენ ადამიანები და გულს იოხებენ...

ძალიან გვინდა ევროპას დავემსგავსოთ, ლონდონს მივბაძოთ, სადაც არცთუ დიდი ხნის წინათ რონალდ რეიგანის ძეგლის გახსნა ინგლისელებმა მის 100 წლისთავს და ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს დაამთხვიეს. რეიგანის ძეგლი, ორი სხვა პრეზიდენტის – დუაიტ ეიზენჰაუერის და ფრანკლინ რუზველტის მონუმენტების გვერდზე დგას. ქალაქის საბჭომ რეიგანისთვის გამონაკლისი დაუშვა. საერთოდ მიღებული წესით, ძეგლს სიკვდილიდან 10 წლის შემდეგ უდგამენ, რონალდი კი, 2004 წელს გარდაიცვალა. ძეგლი ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული და 1 მილიონი დოლარი დაჯდა...

თუ ლონდონში დგას, ჩვენ რაღა დავაშავეთო, და რეიგანის მონუმენტს რიყეზე მივუჩენთ ადგილს. ჩვენც გამონაკლისს ვუშვებთ – პრეზიდენტის სიკვდილიდან 10 წელი არ გასულა! მართლაც, საწყალი რეიგანი, „გადაივლის სავსე მთვარე“ და – „აჯანყებული გურულის ძეგლივით“ შესაძლოა ისე მოისროლონ, კვალი ვეღარ ვიპოვოთ!

**ნატა ნიბლაძე**

## წაქცეული „აჯანყებული“, დაძრული ველოსიპედი და ა. შ.

**ჩვენმა ჩამორჩენილმა, დასავლურად განუსწავლელმა ხალხმა დიდხანს იცხოვრა წყვდიადში. და კიდევ დიდხანს მყარად და უიმედოდ ჩარჩებოდა იქ, ნაცმოძრაობას რომ არ გადაედო თავი, ჩირაღდანივით არ ანთებულიყო და ერს გვირაბის ბოლოსკენ არ გასძღოლოდა.**

რომ არა ეს ჩირაღდნობა, კიდევ რამდენი წელი უნდა გვეცქირა დავით მეფისთვის „ვარდების მოედანზე“, ან „ამირანისთვის“ სიღნაღის ლაჟვარდში!...

მადლობა ღმერთს, უკვე გვაქვს საშუალება დავტკბეთ და ჩვენს ეროვნულ გრძნობებს კვარი შევუკეთოთ გმირთა მოედანზე ცას აწვდენილი პლასტიკატის სტილიზებული ფალოსის ან იმავე „ვარდების მოედანზე“ დასავლურობის, დემოკრატიის სიმბოლოს – საგულივერო ველოსიპედის ხილვით.

გიორგი ოჩიაურის ბრინჯაოს „აჯანყებული“ 1981 წლიდან იდგა ლანჩხუთში. თვალიც მიეჩვია და ხალხიც, „გადარეულ გურულს“ ეძახდნენ, არავის არაფერს უშლიდა, პირიქით ამვლელ-ჩამვლელს ახალისებდა თავისი მეტსახელით და... მოულოდნელად, როგორც სხვაგან, ლანჩხუთშიც, ხალხის ფეხებზე დაკიდებით, ღამით ჩამოხსნეს ფოთიდან ჩუმად ჩამოყვანილი ტექნიკის დახმარებით.

ასევე ქურდულად დადგეს ველოსიპედის „ძეგლი“ ვარდების მოედანზე. სიტყვაც არ დაუძრავთ, ამას ვაპირებთო (რიყეზე რეიგანის(?ძ ძეგლის შემოპარებისა არ იყოსძ. მე არ ვიცი, ეს „ძეგლი“ იმ ფრანგმა მოქანდაკემ სპეციალურად შექმნა თბილისის ცენტრისთვის თუ რომელიმე ველოსიპედების ქარხნის შესასვლელისთვის იყო გამიზნული და გონიერმა მეწარმეებმა უარი თქვეს ამ საეჭვო წამოწყებაზე.

არადა, მშვენიერი მიმანიშნებელია სავარაუდო გამგზავრების, წასვლის, დამშვიდობების, თანაც ნებისმიერი მიმართულებით (აკი ორი საჭე აქვს – თავში და ბოლოში, ანუ შევჯდებით და შევუბერავთ საითაც მოვასწრებთო!ძ.

ასეა თუ ისე, ნავსი გატყდა და აწი შეიძლება თბილისის მოედნებსა და გზაჯვარედინებზე ველოდოთ „სამოკატკების“, სკუტერების და სხვა თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების „ძეგლებს“.

უნდა გაგვიკვირდეს? ბათუმი ხომ დაამშვენა კვერცხებზე(?ძ შემოწყობილმა „შლოპანცებმა“ და მოძრავმა „ნინომ და ალიმ“...

თუ მოასწრეს და არჩევნებში ხელი არ მოეცარათ, გამორიცხული სულაც არ არის „ქართლის დედის“ ადგილას „ბებია მზია“ ვიხილოთ ნარიყალას გასწვრივ ან მარნეულში „კიდევაც დაიზრდებიან“-ის ნაცვლად – ჰეროიკული კომპოზიცია „მეამბოხე ნაცმოელების ჩაის სმა პარლამენტში“, ან გორში სტალინის ძეგლის ადგილას – „ოკუპანტების არ გვეშინია“, საყოველთაოდ ცნობილი ვიდეოკადრისა და ფოტოს მიხედვით...

საქართველოში ძეგლებმა ფეხი აიდგეს და გამალებით იცვლიან ადგილს, ფეხი აიდგა ქართველმა ხალხმა და მაშრიყიდან მაღრიბამდე გაავსო ქვეყნიერება, ფეხი აიდგა პარლამენტმა და ახლა დედაქალაქიდან ქუთაისში გადაბარგებას აპირებს, თუმცა კი დაბნეულმა საზოგადოებამ ვერა და ვერ გაიგო ამ გადაბარგების მიზეზი.

ერთადერთი, რასაც დაბეჯითებით ლაპარაკობს ყველაფრისმცოდნე ხალხი, ის არის, რომ ბატონ პრეზიდენტს პათოლოგიურად სძულს მისთვის არჩევნებში ხმის მიცემაში ძუნწი თბილისი (მოგეხსენებათ, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემისძ და ყველანაირად ერიდება მას. თუ უცხოეთში არ არის გაჭრილი, რომიდან გაქცეულ და კუნძულ კაპრიზე დასახლებულ იმპერატორ კლავდიუსივით ყვარლის მამულშია ჩაბუდებული და იქიდან აბედნიერებს ქვეყანას საპროგრამო სიტყვებითა და მოწოდებებით, ან ბათუმში ნავარდობს სეფექალებთან ერთად.

ოღონდ თბილისში არ ჩამოიყვანო და მოკალი! ერთმა ჭკვიანმა კაცმა მართებულად მითხრა, იმიტომაც ისე გააფთრებით უცვლის თბილისს სახეს, რომ თბილისელებისთვისაც უცხოდ და გულმიუსვლელად აქციოსო.

იქნებ მართლაც!

**ალეკო ასლანიშვილი**

### რას არ ნახავ!..

**უგემოვნო სკულპტურების პრობლემა ვიქტორ ჰიუგოს დროინდელ საფრანგეთსაც აწუხებდა. ჰიუგო მოგვითხრობდა, რომ ბასტილიის მოედანზე ნაპოლეონისდროინდელი გიგანტური სპილოს ქანდაკება იდგა, გადმოკარკლული თვალებით. კვირაობით ბასტილიის მოედანზე მორთულ-მოკაზმული ბურჟუები რომ გაივლიდნენ, ზიზღით შეხედავდნენ სპილოს, ნეტავ, ეს რისი მაქნისიაო?**

## ნაციონალური კრუნჩხვების ორბორბლიანი ხიბლი

ჰიუგოს თქმით, თავის დროზე ნაპოლეონი ოცნებას გაეტაცა: ამ უზარმაზარ, ძლიერ სპილოზე (მაღლა რომ აეშვირა ხორთუმი, ზურგზე მაღალი კოშკი დაედგა და მჩქეფარე შადრევნებით იყო გარშემორტყმულიძ სურდა, ხალხი გამოესახა. ღმერთმა კი გიგანტურ სპილოს უფრო დიდებული დანიშნულება მისცა – უპატრონო ბავშვის ბინად აქცია.



ვარდების მოედანს უმისამართოდ დატოვებული გიგანტური ველოსიპედი შეემატა. ბასტილიის სპილოს მსგავსად, ისიც უზარმაზარია – სიგრძით 7 მეტრი და სიმაღლით 3 მეტრი, მაგრამ, სავარაუდოდ, გიგანტური ველოსიპედი ვერავის მადლს ვერ მოისხამს. მისი მთავარი დანიშნულებაც - ადამიანებს ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ უბიძგოს, ხელოვნებათმცოდნეებში გაოცებას იწვევს. გოგი ხოშტარიას ეეჭვება, რომ გიგანტურმა ველოსიპედმა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას შეუწყოს ხელი. „პირიქით, პათოლოგიისკენ არ უბიძგოს“, – ფიქრობს ხელოვნებათმცოდნე და კითხულობს: „ვარდების მოედანზე ჩავლისას თვალი დავხუჭო და ისე გავიარო?“

მისი აზრით, ხელოვნების ნიმუში კონტექსტში უნდა იკითხებოდეს. ველოსიპედი კი კონტექსტიდან ამოვარდნილია.

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ფრანგმა მხატვარმა, დადაიზმის მიმდევარმა, 86 წლის ჟან დიუპიმ საკუთარი ნახელავი „გიგანტური ველოსიპედი“ საქართველოს უსახსოვრა. თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, რომ „საჩუქარი“ 7 მილიონი დაჯდა და არა მხოლოდ ოფიციალური 78 ათასი ლარი. იმასაც ამბობენ, რომ ჯობდა ჟან დიუპის ნაციონალების საპატივსაცემოდ ვარდების მოედანზე გიგანტური ვარდი დაედგა.

ველოსიპედის ბორბლები იტრიალებს, ექვსი პროპელერი ქარის სიმძლავრეზე იმუშავებს, ენერგიას თავად გამოიმუშავებს და ველოსიპედს გაანათებს. სამ დღეში ველოსიპედი შავთეთრად შეიღებება და შეიმინება. ველოსიპედს ორი საჭე და ერთმანეთისკენ მიმართული ორი სკამი აქვს. გიგანტურ ველოსიპედს მალე საველოსიპედო ბილიკთა მშენებლობა მოჰყვება – ძველ თბილისში და თბილისის ზღვის გარშემო. ველოსიპედის პოპულარიზაციას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ თბილისში ველოტრასები ვერ მოეწყობა, რადგან ჩვენი რელიეფური დედაქალაქი ამსტერდამისა და ჰააგისგან განსხვავდება, სადაც ყველა ტრასა მოსწორებულია.



თბილისს გარდა, მასკულტურის ბუმია აჭარაშიც. ბათუმელებს ვერ გაუგიათ, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს 12 კვერცხზე შემდგარ საზღვაო „შლოპანცს“. მართალია, ადგილობრივი მმართველობა ბათუმელებისთვის განმარტებებს არ იშურებს, რომ „შლოპანცის“ სკულპტურას პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა შეხედონ და მასში ცხოვრებისეული ფილოსოფია უნდა დაინახონ - რომ ცხოვრებაში თურმე სიფრთხილეა საჭირო, რომ ადამიანმა ცხოვრების გზა ისე სათუთად უნდა განვლოს, თითქოს კვერცხებზე დადიოდეს, მაგრამ ბათუმელები ხვდებიან, რომ ეს სკულპტურა მათ გემოვნებას აქვეითებს. თანაც – 160 ათასი ლარი დაჯდა.

ჩირაღდნიანი მამაკაცის სკულპტურა, რომელსაც ლანჩხუთელები აჯანყებულ გურულს ან გადარეულ გურულს უწოდებდნენ, 25 წლის მანძილზე ლანჩხუთის სიმბოლოდ ითვლებოდა. ადგილობრივი ჟურნალისტების ინფორმაციით, ლანჩხუთში „ცენტრ -პოინტი“ აპირებს შესვლას და ამიტომაც აითვალწუნეს ქალაქის სიმბოლო. იმასაც ამბობენ, რომ თავის დროზე „გადარეულ გურულთან“ სურათის გადაღება ადგილობრივებმა მიხეილ სააკაშვილსაც სთხოვეს, მან კი მისთვის უჩვეულო სტილში, მოულოდნელად იუარა – შევარდნაძეს არ ვათქმევინებ, სურათი ორ გადარეულს ერთად გადაუღიაო. მოგვიანებით, ზუგდიდი-მესტიის მაგისტრალის გაყვანით აღტაცებული სააკაშვილი მადლობას უხდიდა სულ სხვა გურულს და ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიის გარეშე მას „გადარეულ გურულად“ იხსენიებდა: „მინდა, მადლობა ვუთხრა ერთ გადარეულ გურულს – რამაზ ნიკოლეიშვილს, რომელსაც არც ღამე სძინავს და არც დღე. გურული კი არის, მაგრამ, როგორც კი სვანეთში მოხვდები, სამი დღე ამ ჰაერს ისუნთქებ და სვანურ ქუდს დაიხურავ, ყველა სვანი ხდება“.

იხ. 7 გვ.

## მარაზმი!

# დასაქმდით! დასაქმდით! დასაქმდით ყველა!




**საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი – ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით – ბოლო წლებში საშუალოდ 16%-ია.**

**უფრო ზუსტად – იყო 16.9%, გახდა 16.2% და მიშგაბრწყინებული ქვეყნის მოზეიმე პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, რომელიც ბრიოლინით ქოჩორაპრეხილი მარადმომღიმარე ბიჭიდან თვალსა და ხელს შუა იქცა თმაშევერცხლილ და დაღლილ კაცად, რომელმაც კარგად იცის, რომ ნეხვშია ჩაფლული და ცდილობს, არ შეიმჩნიოს, მოზეიმე ხმით გვაცნობს ამ ფენომენალურ გაუმჯობესებას და ამით იმის წინაპირობას ქმნის, რომ ერთი კვირის შემდეგ ჩვენი გაკახელებული ბელადი გამოვიდეს და გამოგვიცხადოს, საქართველოში უმუშევრობა მალე 10%-მდე შემცირდებაო... იუწყება** presage.tv

მაგრამ ვინ ითვლება საქართველოში დასაქმებულად?

თუ საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ სახელმძღვანელოდ მიჩნეულ მეთოდიკას გავეცნობით, ფანტასტიკურ აღმოჩენებს გავაკეთებთ!

**თურმე საქართველოში დასაქმებულია 15 წელზე უხნესი ნებისმიერი ადამიანი, რომელიც:**

**ა)** გამოკითხვამდე ბოლო 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (მერე რა თუ მანამდე 300 დღე არ მუშაობდა!).

**და ამ პირობას – მუშაობა – აკმაყოფილებს ნებისმიერი შემდეგი:**

– თუნდაც 1 საათი მუშაობა (მთავარია ამაში ანაზღაურება ჰქონდეს, თუნდაც 1 ლარი!);

– შინამეურნეობაში ოჯახის სხვა წევრების დახმარება (თუნდაც უსასყიდლოდ);

– სამსახურში გაფორმებულად ყოფნა (თუნდაც თუ სამსახურში არ უვლია და ხელფასს არ იღებს).

**ბ)** ან თვითდასაქმებულია, რომელიც:

– მუშაობს როგორც ინდივიდუალური მეწარმე;

– მუშაობს შინამეურნეობაში – მაგალითად, სოფელში საკუთარ მიწის ნაკვეთზე, უვლის შინაურ ცხოველებს, და იღებს მატერიალურ ან ნატურით (!) ანაზღაურებას.

**ამრიგად, თუ საქართველოში მცხოვრები მამაკაცი კვირაში ერთხელ წავა და თევზს დაიჭერს, ხოლო მერე თუნდაც 3 ლარად გაყიდის, ის უკვე დასაქმებულია! მაგრამ კიდევ უფრო ფანტასტიკურია იმის გაცნობიერება, რომ ის მაინც დასაქმებულად ჩაითვლება, თუ ამ თევზს თავად შეწვავს და მიირთმევს, რადგან ჩაითვლება, რომ მან თავისი საქმიანობისთვის ნატურით ანაზღაურება მიიღო!**

**ასეთივე დასაქმებულია ქალი, რომელიც კვირაში ერთხელ ბინის დალაგებაში თუნდაც 10 ლარს იღებს!**

**და იგივე ითქმის 16 წლის გოგონაზე, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც თავის უმუშევარ მამას მიეხმარება, და სამუშაოს მოსაძებნად სმ-ს კომპიუტერზე აუკრიფავს! ეს მაგალითი განსაკუთრებით გულისამაჩუყებელია, რადგან შვილის „დასაქმება“ მამის უმუშევრობას ანეიტრალებს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ბრძნული გადაწყვეტილებით ამ ოჯახში უკვე 1 დასაქმებული მაინც არის! ხოლო თუ ამ ოჯახში კიდევ არის ბებია, რომელიც წინდებს ქსოვს, და ბაბუა, რომელიც ხისგან ფიგურებს ჩორკნის და შაბათ-კვირას ბაზარზე თუნდაც 3 ლარად გაყიდის, მაშინ, ქართველი სტატისტიკოსების მეთოდიკის ფანტასტიური გულუხვობის წყალობით, ოჯახში უკვე 3 დასაქმებული იქნება! განა ეს საქართველოს ეკონომიკური ბუმის კიდევ ერთი დასტური არ არის?!**

განა თანასწოროგის საუცხოო მაგალითი არ არის, რომ ის ჩვენს მიერ ნახსენები გოგონა, ან წინდების მქსოველი პენსიონერი ბებო ისეთივე დასაქმებულებად ითვლებიან საქართველოში, როგორც კობა ნაყოფიას შვილი, რომელიც მამის კერძო კომპანიაში კონსულტანტად მუშაობს და წლიურად სულ რაღაც 1,100,000 ლარს იღებს?!

**განა ბედნიერება არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში დასაქმებულია ერთადერთი მარჩენალი ძროხის მწველავი მოხუციც, რომელიც საღამოს რძით და ყველით შვილიშვილებს აპურებს და პრეზიდენტის დედაც, რომელიც სულ რაღაც მესამედი წილის მფლობელია საქართველოს უნივერსიტეტსა და ბათუმის ტექნიკურ უნივერსიტეტში?**

**ეს ხომ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენთან დასაქმება და ბიზნესის დაწყება ყველაზე იოლია** და კრიზისით გათანგულ მსოფლიოში საქართველო – ლამის ერთადერთი გადარჩენილი ეკონომიკური ოაზისია?!

თუმცა არის ნიუანსები, რომლებზეც სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური და მისი წარმართველი ნეტარი ნაცპარტია ჯიუტად სდუმან.

**საქმე ის არის, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში დასაქმებულების დაანგარიშების დროს მხედველობაში არ იღებენ საპენსიო ასაკის პირების შინამეურნეობაში დასაქმებას!**

საქმე ის არის, რომ აბსოლუტურ ლოგიკას მოკლებულია დასაქმებულად ჩათვალო ადამიანი, რომელიც კვირაში მხოლოდ 1 საათი მუშაობს, თუ მისი თვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმს (საქართველოში – 155 ლარს) მაინც ვერ აღწევს!

საქმე ის არის, რომ ევროპელები აფრიკის და აზიის ღარიბ ქვეყნებშიც კი უმუშევრობის დაანგარიშებისას არ თვლიან დასაქმებულად ადამიანს, რომელიც ფორმალურად სამუშაოზე დაქირავებულია, მაგრამ რომლის დღიური შემოსავალი 2 ევროზე ნაკლებია (ერთ სულზე). ანუ რომ გადმოვიანგარიშოთ – თვეში 135 ლარზე ნაკლებია. თან ეს იმ ქვეყნებს ეხება, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე (4500 დოლარი წელიწადში) გაცილებით ნაკლებია.

აბსოლუტური მარაზმია, დასაქმებულად ჩათვალო ადამიანი, რომელიც სოფელში საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთს უვლის და მხოლოდ იმდენი სარჩო რჩება, რომ ოჯახი გამოკვებოს, რომელიც არ ჰყიდის თავის შრომის პროდუქტს (არ აქვს იმდენი, რომ გაყიდოს) და მოგება კი არა, არსებობა და ზამთრისთვის შეშის შოვნა ნატვრად ქცევია.

ეს მთავრობა, რომელიც დღედაღამ მუხლჩაუხრელად ქუჩის მოვაჭრეებს ებრძვის, პატრულს უსევს, ართმევს სიმწრით ნაშოვნ და ვალში აღებულ პროდუქციას, ურტყამს და არბევს, შემდეგ... სწორედ ამ ქუჩის მოვაჭრეების ხარჯზე ამაყად იმაღლებს დასაქმების პროცენტულ მაჩვენებელს!..

**განა ამაზე მეტი უნამუსობა იქნება, რომ ცალი ხელით ხელკეტი ურტყა შიმშილის გამო ქუჩაში გამოყრილ ადამიანებს და ამავე დროს ამაყად მეორე ხელით ისინი დასაქმებულებად ჩააწიკწიკო სტატისტიკურ „სპრედშიტებში“ და ბედნიერ მოქალაქეებად გაასაღო?!**

**ვაშა, ამ დასაქმებულ საქართველოს, ვაშა – შენებას!**

**მეგობრებო, ძვირფასო ჯერ კიდევ დაუსაქმებელო მოქალაქეებო!**

**საქართველოს ბედნიერი მთავრობის კიდევ უფრო გასაბედნიერებლად და პატრიოტული სულისკვეთების დროშის კიდევ უფრო მაღლა ასაფრიალებლად, მოგიწოდებთ:**

დავეხმაროთ ჩვენს ციფრებზე შეყვარებულ და თავმომწონედ მოცანცარე მთავრობას – კიდევ უფრო გავზარდოთ ჩვენი დასაქმების მაჩვენებლები!

საბოლოდ დავამარცხოთ და ნულზე მივასრისოთ უმუშევრობა!

ყოველთვის, როდესაც სკოლაში ბავშვს წაიყვანთ – დააფიქსირეთ, რომ დასაქმდით! არ დაგენანოთ 6 თეთრი, გააგზავნეთ SMS სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურში, რომ მათ კიდევ რამდენიმე მეასედი პროცენტით აამაღლონ დასაქმების მაჩვენებელი!

დააფიქსირეთ ისიც, თუ სკოლაში ბავშვის წაყვანისას ქუჩაში ვინმე მათხოვარს 10-თეთრიანს ჩაუგდებთ ქუდში! უფრო სწორად, სთხოვეთ ამ მათხოვარს, რომ მან თავი დასაქმებულად იგრძნოს და ამაყად დარეკოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურში – ჩააწერინოს თავისი შემოსავალი, მოითხოვოს საშემოსავლო დეკლარაციის შევსება და ამაყად დაელოდოს საგადასახადო აგენტს! აჯობებს, გულზე დაიკიდოს წარწერა – **„წაიკითხეთ! გშურდეთ! მე – დასაქმებული მათხოვარი ვარ!“**

ვინმე შემისწორებს, რომ მათხოვარი შინამეურნეობაში არ მუშაობს? მერე რა, შემოვიღოთ „გარემეურნეობის“ ცნება და ჩავთვალოთ, რომ მათხოვრის ირგვლივ 3 კვადრატული მეტრი მისი გარემეურნეობაა, ისევე როგორც მიწის გადასასვლელი – იქ მდგომი უმუშევარი მუსიკოსის გარემეურნეობა! და გავუტოლოთ ისინი დასაქმების თვალსაზრისით ასევე მათხოვარ რუსუდან კერვალიშვილს, რომელმაც 6000 ადამიანს აახია „შესაწირავი“ ან სოფო ნიჟარაძეს, რომელიც ასევე ხელოვნების მსახურია – პრეზიდენტის მომსახურების პარალელურად, რასაკვირველია...

ყოველთვის, როცა ტყეში მაყვალს ან სოკოს მოკრეფთ, დარეკეთ და აცნობეთ, რომ დასაქმდით! ოღონდ არ შეგეშალოთ და იქ არ დარეკოთ, საიდანაც მალე მოგაკითხავენ და მოკლე ხნით დასაქმებულიდან დიდი ხნით სასჯელმისჯილის სტატუსში გადაგიყვანენ!

თუ თქვენ არაყს ხდით – ანუ პრეზიდენტს მიბაძეთ და „ზაოტობა“ გაქვთ, დალიეთ თქვენი შრომის პროდუქტი, მიიღეთ სარგებელი ნატურით და შექეიფიანებულზე (პახმელიამდე მაინც!) თავი დასაქმებულად იგრძენით! არ დაგავიწყდეთ, რომ ჭიქა მაღლა ასწიოთ და წრფელი გრძნობით ახსენოთ ის ადამიანები და მათი მოკეთეები, ვინც თქვენ ასეთი არნახული დასაქმების ბედნიერება გაჩუქათ!

და თუ მეუღლეს ბაზარში წაყვებით, იქიდან ყველს წამოაღებინებთ და სახლში ამ ყველის მომცრო ნაჭერი თქვენც შეგხვდებათ, ჩათვალეთ, რომ შინამეურნეობაში დასაქმდით! გააფორმეთ კონტრაქტი მეუღლესთან, რომ კვირაში ერთხელ – 1 საათით მაინც მოგეცემათ ასეთი ბედნიერება და მიაფურთხეთ უმუშევრის სტატუსს!

დაბოლოს, თუ ეს გზები არ მოგწონთ და მაინც ვერ დასაქმდით, სახლში კვირაში ერთხელ მტვერი მაინც რომ გადაწმინდოთ?! ანდა მოეფერეთ ბავშვს, ჩაეხუტეთ და მიიღეთ მისგან ნატურალურ-მორალური სარგებელი სიყვარულის სახით! - უკვე დასაქმებული იქნებით, და ზედმეტად აღარ იფიქრებთ იმაზე, ბოლოს როდის შეძელით მისთვის სათამაშოს ყიდვა!

ნუთუ ასე ძნელია, რომ კრეატიულად დავსაქმდეთ?! ნუთუ სულ სახელმწიფოს უნდა შევყურებდეთ ხელებში? ხომ ვხედავთ, გიგი უგულავა რა მრავალფეროვნად ცდილობს საკუთარი დასაქმების კოეფიციენტის ამაღლებას? ხომ ვხედავთ, მიშა თვითმფრინავის მართვას და არქიტექტორობას, მეღვინეობას და მძღოლობას, ზეინკლობას და პრეზიდენტობას რომ შივასავით ერთდროულად ასწრებს... ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება? რატომ ვერ ვახერხებთ, რომ ასე ადვილად დასაქმების შანსის მომცემ სამოთხეში ჩვენივე ფანტაზიით დავსაქმდეთ და შევამციროთ ეს დაწყევლილი უმუშევრობის მაჩვენებელი!!!

თუ ოჯახში ვინმე უმუშევარია, განა ძნელია, რომ ლექსი წავაკითხოთ კვირაში ერთხელ? ან ვამღეროთ „მიშა მაგარია“ და თუ ფული არ გვაქვს, რომ გადავუხადოთ, ნატურით მაინც დავტკბეთ ხელოვნების დიადი ძალით?

**ძვირფასო თანამოქალაქეებო! ავიტაცოთ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინოვაცია და მსოფლიოში პირველად გამოვაცხადოთ დასაქმებისთვის ქუდზე ქალის, კაცის და 15 წლიდან მოზარდების საერთო-სახალხო მობილიზაცია!**

**დავუდგეთ გვერდში ჩვენზე მარად მზრუნველ დიად პარტიას! – არც ერთი დაუსაქმებელი ჩვენ გვერდით!!!**

**„გათენდა!.. შეერთდით!.. შეერთდით!.. შეერთდით!..**

**დასაქმდით!.. დასაქმდით!.. დასაქმდით!.. ყველა!..“**

სოლომონ თერნალი

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ...სააკაშვილის „გემიდან“ გადასახტომად ემზადებიან...

ჩვენ მალე ვნახავთ, – ამბობს სანდრო ბრეგაძე, – რომ სააკაშვილს არა მარტო უცხო ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, არამედ საკუთარი გუნდის წევრებიც შეაწმენდენ ხელებს და უამრავ დანაშაულში ამხელენ... დავით ბაქრაძე, გიგი წერეთელი, მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი და სხვები ერთ აუგ სიტყვასაც არ ამბობენ ბიძინა ივანიშვილზე პარლამენტში და დაგეშილი ჰყავთ დაბალი რანგის „ქოფაკები“.

**„ასავალ-დასავალი“.**

### „მაინტერესებს, ახლა თუ გაბედავს ნანუკა ჟორჟოლიანი ბერა ივანიშვილის გადაცემაში მისვლას?!

რატომ ადანაშაულებს პირადად სააკაშვილს, მაჭავარიანს, ბარამიძეს და გოგორიშვილს, და რა საერთაშორისო სკანდალით იმუქრება ქეთი დოლიძე?..

**„ვერსია“.**

### ილია II: „ჩვენმა მთავრობებმა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს უნდა მიბაძონ“

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი პატრიარქის მოსკოვურ ვოიაჟზე დიდ იმედებს ამყარებს, მათ სჯერათ, რომ თუ ვინმეს შეუძლია საქართველოს წართმეული ტერიტორიების დაბრუნება, ეს ილია მეორეა.

**„ახალი თაობა“.**

### 3000 წლისწინანდელ მასშტაბურ ნაგებობას, შესაძლოა, ავეჯის სახლი დააშენონ

მიმდინარე წლის ივლისში დიღომში აღმოჩენილი 3000 წლისწინანდელი ნაგებობა, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გამორჩეული შენობის ნაშთს წარმოადგენს, გათხრების საბოლოოდ დასრულების შემდეგ მიწის ქვეშ მოექცევა და მის ადგილს ავეჯის სახლი აშენდება.

**„მთელი კვირა“.**

### 19-წლიანი სასჯელის შოკის მომგვრელი ისტორია

ამბავი, რომელსაც მოგითხრობთ, მკითხველს, ალბათ, შოკს მოჰგვრის, გაუჩენს უამრავ კითხვას, მათ შორის მთავარს – რატომ, რისთვის?! ეს ამბავი უდანაშაულო დამნაშავის გაუგონარ ისტორიას ეხება.

**„კვირის პალიტრა“.**

### დამწვრობის ცენტრის ექიმები და პაციენტები ღია ცის ქვეშ დარჩნენ

იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის ექიმები მომავალი კვირიდან საპროტესტო აქციების ახალი ტალღის აგორებას აპირებენ. მათი რამდენიმესართულიანი შენობა, რომელიც კუკიაზეა, აუქციონის წესით გაიყიდა.

**„ქრონიკა“.**

პრობლემების პირისპირ

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ბოლო პერიოდი

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტმა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული არასახარბიელო პოლიტიკური ურთიერთობების ვიდეო მიმოხილვა მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო. თებერვალში ერთ-ერთი აქტუალური თემა საქართველოს ხელისუფლების მიერ ე.წ. სტრატეგიული ობიექტების, კერძოდ კი, მაგისტრალური გაზსადენის ჩრდილოეთ-სამხრეთის შესაძლო გასხვისების თემა იყო. მაგისტრალის ნებისმიერი ფორმით შესაძლო გასხვისებამ საზოგადოებაში და საექსპერტო წრეებში ბუნებრივად გააჩინა კითხვა: დაინტერესდება თუ არა აღნიშნული ინიციატივით რუსული მხარე? ჩვენი ვარაუდით რუსული მხარის დაინტერესებისთვის რამდენი შესაძლო მიზეზი არსებობდა, მათ შორის შესაძლებელია ყოფილიყო ირანული გაზის ექსპორტის თემა.ერთი წლით ადრე დაწყებული კამათი საქართველოს ხელისუფლების ახალ, ჩრდილო-კავკასიურ პოლიტიკაზე 2011 წლის დასაწყისშიც აქტუალური და ცხელი თემა იყო. წლის დასაწყისისთვის უკვე გამოკვეთილი იყო თითქმის ყველა ის კონტური, რომლითაც საბოლოოდ მოხაზულიყო ქვეყნის საგარეოპოლიტიკის ახალი, რეგიონალურ-ცენტრული ორიენტირი:

ჩერქეზების გენოციდის თემა, რუსულენოვანი მედია საშუალებები და საზღვრების ცალმხრივად გახსნა ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკებისთვის. რეალური საბრძოლო მოქმედებები, რომელიც საერთაშორისო არენაზე დიპლომატიურ დაპირისპირებაში გრძელდებოდა, აქტიურ ფაზაში იყო. პრესასა და ტელევიზიებში ორივე, რუსულიც და ქართული მხარეც საკუთარი დიპლომატიის გამარჯვებაზე ესაუბრებოდა საზოგადოებას.

2008 წლის ომიდან სამი წლის განმავლობაში არ იქნა შესრულებული ევროპის საბჭოს არც ერთი რეზოლუცია, მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა რუსეთის დელეგაციისთვის ვერც ხმის უფლების შეჩერება, უფრო მტიც რუსულმა მხარემ მოახერხა მარიონეტული რეჟიმები საკითხის განხილვის პროცესში ჩაერთო. თბილისისთვის უარყოფითი დიპლომატიური ველი 2011 წლის დასაწყისში უკვე თითქოს ფაქტად იქცა. 2011 წლის 19 მარტს ექსპერტები არსებულ ვითარებას ასე აფასებდნენ. ამასობაში ჩვენ ვცადეთ შეგვეჯამებინა, ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე გამალებული მილიტარიზაციის პროცესი. თვითაღიარებული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ არც აფხაზეთსა და არც ცხინვალში არ შეწყვეტილა რუსული სამხედრო კონტიგენტის ზრდა და გაძლიერება.

სამხედრო ექსპერტების დახმარებით, ღია წყაროებზე დაყრდნობით, ჩვენ 2011 წლის მარტის ბოლოსთვის ასეთი სურათი მივიღეთ.სამხედრო თემებიდან სასწრაფოდ გადავინაცვლეთ სავაჭრო თემაზე, ისეთზე როგორიცაა რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და ქართული ვეტოს საკითხი. რუსი მაღალჩინოსნების განცხადებას იმის შესახებ რომ ქართული მხარის ვეტოს უფლება, როგორც იურიდიული დაბრკოლება მათთვის არ წარმოადგენდა პრობლემას – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასე უპასუხა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თემის გარშემო რამდენიმე შეხვედრა რუსულ და ქართულ მხარეებს შორის მაინც გაიმართა, უნდა ვივარაუდოთ რომ დაპირისპირებული მხარეების კიდევ ერთხელ, ახალ თემაზე და ახალ ფორმატში დიალოგის საშუალება მიეცათ დაინტერესებული იყო დასავლეთი. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვის შემდეგ ცნობილი გახდება, რომ თემაზე მოლაპარაკებები საბოლოოდ და უშედეგოდ დასრულდა. ამასობაში ურთიერთობები რუსულ მხარეს დღევანდელ აფხაზეთშიც დაეძაბა. დარჩა შთაბეჭდილება რომ ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორებს შორის უთანხმოების გამომზეურებას თავად აფხაზური მხარე ცდილობდა.

ექსპერტთა დიდმა ნაწილმა გაგრის ჩრდილო-დასავლეთით სოფელ აიბაღას გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი რუსეთსა და აფხაზეთს შორის ტერიტორიულ დავად მონათლა. რუსული მხარე აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალს კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში შეყვანას ბოლო წლებში დადებული თუ გაფორმებული ხელშეკრულებებითა და არსებული რუკებით ცდილობდა.აღნიშნულ საკითხზე გამართული მწვავე დებატები მოგვიანებით კიდევ ერთმა აფხაზურ-რუსულმა გაუგებრობამ გადაფარა.

სეპარატისტული აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ნაციონალისტურად განწყობილი სასულიერი პირების ერთი ჯგუფი, პრორუსულად განწყობილ აფხაზ და აფხაზეთში მოქმედ რუს სასულიერო პირებს დაუპირისპირდა. მიმდინარე წლის 15 მაისს, დე ფაქტო აფხაზეთში, სახალხო-საეკლესიო კრება გაიმართა, რომლის შედეგად ახალგაზრდა აფხაზი სასულიერო პირების მიერ ახალი – ანაკოფიის მიტროპოლიის ჩამოყალიბება გაფორმდა. ეპარქიის დროებით მმართველად, კი არქიმანდრიტი დოროთე დბარი დაინიშნა, რომლის გუნდიც ამ დროისთვის პატრიოტული საწყისებით საზრდოობდა. ეს უკანასკნელნი, სოხუმისა და ბიჭვინთის ეპარქიის პრორუსულად წოდებულ წინამძღოლს ბესარიონ აპლიას დაუპირისპირდნენ. „პატრიოტებმა“ 15 მაისის ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის გასაღები არა რუსეთში, არამედ კონსტანტინეპოლში მოეძებნათ.

შესაბამისი დოკუმენტი, დე ფაქტო აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის მოთხოვნით, კონსტანტინეპოლში გადაიგზავნა. ის რაც ზედაპირზე დევს, ეს არის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია, რომელიც აღიარებს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში, თუმცა უნდა ვივარაუდოთ რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, აფხაზეთის ეკლესიის აღიარებაზე უარი განპირობებულია, არა იმდენად ზოგადად ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კონსტრუქციულობით, ან მათდამი ლოიალურობით, რამდენადაც ქართული ეკლესიის ხელთ არსებული ბერკეტით, რომელიც აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, შესაძლებელია მას უკრაიანაში დახვდეს.მაგრამ სერგეი ბაღაფშის სიკვდილმა აღნიშნული დაპირისპირებები რუსულ და აფხაზურ მხარეებს შორის სრულიად გადაფარა.

აფხაზეთის ლიდერის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ბუნებრივად გააჩინა კითხვა, სად გადის ზღვარი რუსულ აღიარებასა და აფხაზურ სამადლობელს შორის, რომლის გადახდასაც აფხაზებს აღიარების შემდეგ დაუსრულებლად სთხოვენ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენი ვარაუდით მომავალ პრეზიდენტს მოუწევს, ვინაიდან ეს საკითხი ბაღაფშმა ღიად დატოვა აფხაზური საზოგადოების წინაშე, ის ფაქტიურად გარდაიცვალა რუსეთსა და აფხაზეთს შორის ტერიტორიული დაპირისპირების ფონზე.ამასობაში საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ უკვე აღიარა ჩერქეზების გენოციდი, რასაც რუსეთში ასეთი რეაქციები მოჰყვა: 90-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ინსპირირებული კონფლიქტების, 2008 აგვისტოს ომის რუსეთის მიერ თვითაღიარებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის, საერთაშორისო არენაზე ქართულ-რუსული მუდმივი დაპირისპირების, ახალი ჩრდილო-კავკასიური პოლიტიკისა და ჩერქეზების გენოციდის აღიარების პირობებში ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, ამოწურულია თუ არა რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტივა?აგვისტოს თვეში ჩვენი ყურადღება ერთ-ერთ მიმდინარე იმ პერიოდში საკმაოდ სკანდალურ თემას დაეთმო. აფხაზების გენოფონდისა და იდენტობის გადარჩენის მიზნით, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ინიციატივა, გარკვეული პირობების სანაცვლოდ ექსპერტმა კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძემ გააჟღერა. 20 წლის განმავლობაში, აღნიშნული მოსაზრება ასე თამამად არავის გამოუთქვამს. ასევე თამამად შეიძლება ითქვას რომ თემა, ქართულ საზოგადოებაში დღემდე ტაბუირებულია. ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის, ასეთი წინადადების გაჟღერება დიდი ალბათობით პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია. საზოგადოების დანარჩენი ნაწილისთვის კი, მოღალატის იარლიყის გარანტი. ასეთი სიტუაცია ნორმალური საზოგადოებისთვის რამდენად ნორმალურია, ეს საუბრის კიდევ სხვა თემაა, თუმცა ექსპერტისთვის ამ უკანასკნელს ბარიერი არ შეუქმნია. მიმდინარე პროცესებმა ბუნებრივად გვიბიძგა დრო დაგვეთმო ისეთი თემისთვის, როგორიცაა კონფლიქტის ტრანსფორმაციის მნიშვნელობა და აუცილებლობა მის პოლიტიკურ რეგულირებამდე.

ექსპერტებმა აღნიშნულ საკითხზე თავისი მოსაზრებები გაგვიზიარეს. ამ რთული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე ვფიქრობთ, რომ უყურადღებოდ არ უნდა დარჩენილიყო თემა – მედიის როლი რუსულ-ქართული ურთიერთობების გაშუქებისას. სანამ მედია საფრანგეთის პრეზიდენტის კავკასიური ტურნეს ფარგლებში საქართველოში მისი ვიზიტის შესახებ ავრცელებდა ანონსს, დამოუკიდებელ ანალიტიკოსებსა და ექსპერტებს ცნობილი 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულების შესახებ აზრი ვკითხეთ. ამასობაში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ევრაზიის კავშირი შექმნის ინიციატივა გააცნო. სავარაუდოდ ექსპერტთა ნაწილს ტყუილად არ გაახსენდა საბჭოთა კავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის ისტორია. ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული იდეის, როგორც პროგრამის, ნაწილია – ევრაზიის ენერგოსივრცეზე გაბატონება, სადაც რუსეთის ხელისუფლების მთავარ ამოცანას ენერგორესურსების მფლობელი სახელმწიფოებისა და ამ ენერგორესურსების ტრანზიტის მქონე პოტენციალის ქვეყნებზე კონტროლის დამყარება უნდა წარმოადგენდეს. და ბოლოს, სავაჭრო-ეკონომიკური ურიერთობები რუსეთ-საქართველოს დაძაბულ ურთიერთობებში, როგორც ყველაზე პარადოქსული შემადგენელი ნაწილია. იმ დროს როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის პრაქტიკულად არ არსებობს სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კრიზისული პერიოდების არსებობის მიუხედავად, არ შეწყვეტილა. სტრატეგიული ობიექტების შესაძლო გაყიდვის თემა თებერვლის შემდეგ წლის ბოლოს ისევ აქტუალური თემა იყო.

**რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტი**




ინფორმაცია

## 4-პუნქტიან გეგმაზე შეთანხმდნენ

სამინისტროში დასრულდა დღევანდელი საპროტესტო აქციის მონაწილეებისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის დავით ცხადაძის შეხვედრა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, შეთანხმების მიხედვით, 24 ნოემბერს საპატრიარქოსთან არსებული კომისია გაემგზავრება მესტიაში და შეამოწმებს სვანეთის საგანძურის მდგომარეობას; მოხდება საგანძურის ინვენტარიზაცია; საჯაროდ დაიწყება მესტიის ახალი მუზეუმის პროექტის განხილვა; სვანეთის საგანძურთან დაკავშირებით აღმოიფხვრება კომუნიკაციის ურთიერთობის პრობლემა.

მესტიის მუზეუმის რემონტის დაწყების შემდეგ, იქ დაცული საგანძური კონტეინერებში გადაიტანეს. ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კუსტარულ კონტეინერებში საგანძურს განადგურების საფრთხე ემუქრება.

## დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაფინანსება თითქმის ორმაგდება

ამ უწყებისთვის დაფინანსება მიმდინარე წლის ბიუჯეტით, 3, 880.4 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო, მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით კი დაფინანსება 7, 273.6 ათასი ლარი ხდება, საიდანაც საბიუჯეტო სახსრები 4, 110.4 ლარი იქნება, 3, 163.2 ათასი კი დონორების დაფინანსება. დინორების დაფინანსების კომპონენტი, საბიუჯეტო ცვლილებებით ჩნდება.

თუმცა, თანხა მხოლოდ სააგენტოს ემატება, მისი პროგრამების – ეკოტურიზმის, სათაფლიის ნაკრძალის განვითარების თუ დაცული ტერიტორიების მავნებლებისგან დაცვის ღონისძიებების დაფინანასება, იგივე რჩება.

იზრდება გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსებაც – 1, 821.9 ათასი ლარიდან 1, 961.9 ათასი ლარი ხდება. თუმცა, თითქმის ორჯერ მცირდება გარემოს დაცვის სამინისტროს ინსტიტუციონალური რეფორმირების პროგრამის დაფინანასება.

დამტკიცებული ბიუჯეტით რეფორმის დაფინანსება 901.6 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო, პროექტით კი ეს თანხა 489.0 ათას ლარამდე შემცირდება.

მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებებს პარლამენტი 24 ნოემბერს დაამტკიცებს.

## დიმიტრი შაშკინი კერძო სკოლების დირექტორებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი კერძო სკოლების დირექტორებს გუშინ მასწავლებლის სახლში შეხვდნენ.

მინისტრმა მასწავლებლებს მთავრობის ათპუნქტიანი სამოქმედო გეგმა გააცნო.

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს მასშტაბით არსებული კერძო სკოლების დირექტორები ესწრებოდნენ, მთავარი აქცენტი ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელებულ სიახლეებზე და სამომავლო გეგმებზე გაკეთდა. დიმიტრი შაშკინმა დეტალურად ისაუბრა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით დანერგილ პროექტებზე, მათ შედეგებზე და დასახულ მიზნებზე.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 220. სამშაბათი, 22 ნოემბერი, 2011 წელი.

# აფხაზებს რუსეთთან შეერთება არ სურთ

**აფხაზები რუსეთთან შეერთების წინააღმდეგნი არიან. ამგვარი შედეგი აჩვენა გამოკითხვამ, რომელიც პრაღის საინფორმაციო სააგენტომ „მედიუმ ორიენტ“-მა აფხაზეთში სექტემბერში ჩაატარა.**

სააგენტომ სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ეროვნების, 345 ადამიანი, მათ შორის ქართველები გამოკითხა. აფხაზეთის სტატუსის შესახებ კითხვაზე უმეტესობამ, 73 პროცენტმა, აფხაზეთის სრულ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი, ცალკე რესპუბლიკად რუსეთთან შეერთების მომხრე კი 24,6 პროცენტია. საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას გამოკითხულთა 0,6 პროცენტი, ძირითადად ქართველები უჭერენ მხარს.

სრული დამოუკიდებლობის მომხრეთა უმეტესობა აფხაზები არიან. სხვა ეროვნების რესპონდენტებმა კი ამ მისწრაფებას ნაკლებად დაუჭირეს მხარი. ამასთან, გამოკითხულთა 97 პროცენტს მიაჩნია, რომ აფხაზეთმა ურთიერთობა პირველ რიგში რუსეთთან უნდა განავითაროს. 58,7 პროცენტმა კი ამ ჩამონათვალში ევროკავშირის ქვეყნებიც დაასახელა.

ოკუპირებულ რეგიონში არსებულ განწყობებზე კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძეს ვესაუბრებით:



**მამუკა არეშიძე:** სოხუმსა და ცხინვალს შორის მთავარი განსხვავება სწორედ იმაშია, რომ ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთთან შეერთებას მხარს უჭერს. საკითხს უფრო დეტალურად თუ მივუდგებით, ოსური ორიენტაცია რუსეთზე ისეთივე ტრადიციულია, როგორც სომხური. დანარჩენი კავკასიელების ორიენტაცია მიზანშეწონილობიდან გამომდინარეობს.

მაგალითად, ვაინახებს, ჩეჩნებს და ინგუშებს, რუსეთის მიმართ საკმაოდ მძიმე დამოკიდებულება აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის იდეა იქ ლამის ბოლომდე ჩაკლეს. რუსებმა ჩეჩნეთი კარგა ხანია დატოვეს და ახლა ინგუშეთსაც ტოვებენ. იგივე სიტუაციაა დაღესტანში, ყარაჩაევო-ჩერქეზეთში და ლამის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში.

საყოფაცხოვრებო დონეზე მოსკოვის მიმართ დამოკიდებულება აფხაზეთშიც ყველასთვის კარგად ნაცნობია. რუსი ტურისტების შეურაცხყოფის, გაძარცვის და ცემის ფაქტებით საინფორმაციო საშუალებები აჭრელებულია. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ აფხაზები მასობრივად ყაჩაღები და ქურდები არიან. თვითონ რუსების მიმართ კავკასიაში გართულებული საყოფაცხოვრებო დამოკიდებულებაა.

კავკასიელების რუსებისადმი დამოკიდებულების ფორმულა დაახლოებით ასეთია — თქვენი ფული გვინდა, მაგრამ თქვენ არ გვინდიხართ. სხვათა შორის აპელირება ყოველთვის ისტორიულ წარსულზე კეთდება, როდესაც რუსეთის იმპერიამ კავკასიური ტომები ცეცხლით და მახვილით დაიპყრო.

**— ფორმულას „თქვენი ფული გვინდა, თქვენ არ გვინდიხართ“, მოსკოვში როგორ აღიქვამენ?**

— მძიმედ აღიქვამენ. რუსული ნაციონალისტური მოძრაობის ტალღაზე უკვე გამოჩნდა ლოზუნგი — გვეყოფა კავკასიელების შენახვა! **„ხვატიტ კარმიტ კავკაზ“,** — ასეთი მოწოდებებით გამოდის რადიკალური დაჯგუფებების დიდი უმრავლესობა.

სხვადასხვა გამოკითხვით, რუსეთის მოსახლეობის დაახლოებით 50-60 პროცენტი თვლის, რომ რუსეთს კავკასია აღარ სჭირდება; რომ მოსკოვმა პრობლემური რეგიონი თავიდან უნდა მოიცილოს. რუსეთის სახელმწიფო ორგანოებშიც საკმაო აგრესიაა კავკასიელების მისამართით.

მაგალითად, ამ დღეებში, რუსეთის შსს მინისტრმა ნურგალიევმა მუსულმანებთან დაკავშირებული მძიმე შინაარსის განცხადება გააკეთა. საუბარი იყო კავკასიელ მუსულმანებზე, რომლებიც მოსკოვში ფეხს იკიდებენ და საკუთარი წესების დამკვიდრებას ცდილობენ. ასეთი ტიპის გამონათქვამი შს მინისტრის მხრიდან, ნაციონალისტურ ორგანიზაციებს მოქმედებისთვის დამატებით არგუმენტებს და საბაბს აძლევს.

რუსების და კავკასიელების დამოკიდებულების ძალიან კარგი მაგალითია ის, რაც საფეხბურთო მატჩებზე ხდება. ნალჩიკში, მახაჩყალაში, გროზნოში ჩატარებულ მატჩებზე კარგად ჩანს, რა ტიპის ლოზუნგები გამოაქვთ. ასევე სახეზეა როგორ ექცევიან მაყურებლებს, რომლებიც მოსკოვის გუნდებს კავკასიაში მოჰყვებიან.

**— თავად აფხაზები რამდენად გრძნობენ, მათ შორის რუსი ჩინოვნიკების მხრიდან, ნაციონალისტურ დამოკიდებულებას?**

— ჯერჯერობით საბჭოთა მენტალიტეტი მოქმედებს — გავლენიანი ადამიანის ეროვნება ქრება, როდესაც საქმე კრიმინალთან გვაქვს. თუმცა, საინტერესო ფენომენია რუსული პასპორტით აღჭურვილი აფხაზი ფსოუს საზღვარზე. რუსი მესაზღვრის ხასიათიდან გამომდინარე ეს პასპორტი ან ლეგიტიმურია ან არ არის ასეთი. ამას რიგითი აფხაზები ძალიან კარგად გრძნობენ.

ასევე კრასნოდარის მხარეში რამდენიმე აფხაზი ახალგაზრდა ვიცი, რომლებიც აბსოლუტურად უკანონოდ ჰყავთ ციხეში გამომწყვდეული. ჩაითვალა, რომ ამ პასპორტით საზღვრის გადალახვის უფლება არ ჰქონდათ. საკითხს როგორც მოეპრიანებათ, ისე წყვეტენ. როცა სჭირდებათ, ეს დოკუმენტი ოფიციალურია და როცა არა, საუბარი სხვა ტონალობაში გრძელდება.

სხვათა შორის ამის გამოძახილია ის, რაც რუსების მიმართ აფხაზეთში ხდება. ოთხი ათასამდე საჩივარი არსებობს რუსებისა, რომლებიც ჯერ კიდევ 40-იანი, 50-იანი წლებიდან აფხაზეთის მკვიდრნი იყვნენ. ომის დროს, შემდგომ პერიოდში სახლებიდან გამოყარეს და ბინებს აღარ უბრუნებენ.

ეს ოთხი ათასამდე საჩივარი სოხუმში რუსი „ელჩის“, გრიგორიევის კაბინეტში დევს და ვერაფერსაც ვერ უხერხებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხების მოგვარებისთვის რუსულ-აფხაზური კომისია შეიქმნა. 18 საქმეა მისული სასამართლომდე და აქედან მხოლოდ სამი დაკმაყოფილდა. დანარჩენი ყოველგვარი რეაგირების გარეშეა.

ასეთი დამოკიდებულება აფხაზეთში ძალიან ღრმად ფესვგადგმულია.

**— ჩეხების სოციოლოგიურ გამოკითხვაში ისიც გამოჩნდა, რომ არააფხაზური მოსახლეობას რუსეთთან შეერთება სურს. ასეთი განწყობა რაზე მიანიშნებს?**

— არააფხაზური მოსახლეობის პოზიცია გასაგებია. მათში ძირითადად სომხები იგულისხმებიან. სომხები რუსების ძირძველი და ტრადიციული მოკავშირეები არიან კავკასიაში. რასაკვირველია, რუსეთის შემადგენლობაში თავს ბევრად კომფორტულად იგრძნობენ, ვიდრე აფხაზეთში. ისინი აფხაზეთში მეორეხარისხოვან ადამიანებად გრძნობენ თავს. ასეთ განწყობას სომხები არც მალავენ.

საერთოდ, აფხაზეთში მთელი საშუალო ბიზნესი სომხების ხელშია. ასეთი წესია, რომ ფირმის ხელმძღვანელი აფხაზია, კაპიტალი და თანამშრომლები სომხები არიან. ეს აფხაზებს აღიზიანებთ, რომლებიც ბიზნესის წარმოებაში მაინცდამაინც დიდი მოქნილობით არ გამოირჩევიან. ამის გამო აფხაზურ საზოგადოებას შინაგანი დაძაბულობა, რასაკვირველია, აქვს.

აფხაზური ტრიბუნიდან მოისმენთ, რომ სომხები ჩვენი ძმები არიან, ერთად დავიცავით ეს მხარე და ა.შ. საქმე საქმეზე რომ მიდგება, აფხაზებს საკუთარი თავის გარდა არავინ აინტერესებთ. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის ხელისუფლებაში ქართველიც იყო, არის სომეხიც და ბერძენიც, ეს მხოლოდ ფასადური სიტუაციაა. სინამდვილეში აფხაზების აზრით, მხოლოდ ისინი არიან მიწა-წყლის პატრონნი და ამიტომ ყოველმხრივ დომინანტურ მდგომარეობაში უნდა იყვნენ.

სხვათა შორის, მთავარი რაც აფხაზებს დასავლურ ღირებულებებთან ინტეგრაციაში ხელს უშლით, არის ის, რომ აფხაზური კონსტიტუციით მხოლოდ აფხაზს აქვს უფლება, პრეზიდენტი გახდეს. ძალიან კარგად იციან, რომ დასავლეთში ინტეგრაცია ასეთი აპარტეიდული ნორმით შეუძლებელი იქნება. ამიტომ ორჭოფულ მდგომარეობაში არიან. ეს ეხება დევნილების დაბრუნებას და ბევრ სხვა საკითხსაც.

ამასობაში, სომხები რაოდენობრივად ლამის ჭარბობენ აფხაზებს. იქაური სომხები, რუსები, ბერძნები ტრადიციულად მოსკოვზე არიან ორიენტირებულნი.

**— როგორი დამოკიდებულებაა აფხაზების მხრიდან რუსეთის ვმო-ში გაწევრებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე?**

— შეურაცხყოფილად თვლიან თავს. მიიჩნევენ, რომ რუსეთთან ამ შეთანხმებით, ირიბად თუ პირდაპირ მათი უფლებები შეილახა. შვეიცარიული კერძო აუდიტის მიერ საბაჟოზე კონტეინერების გახსნას, შემოწმებას და ისევ დალუქვას, სუვერენიტეტის შეზღუდვად აღიქვამენ. რუსული სუვერენიტეტი რომ გარკვეულწილად ეჭვქვეშ დგება, ეს საკითხი საერთოდ არ აინტერესებთ.

ისინი თვლიან, რომ რუსებმა გამოგვიყენეს და მომავალში შესაძლოა ამაზე უარესიც დაგვემართოსო. აფხაზები ფიქრობენ, რომ თუ პოლიტიკამ მოითხოვა და გეოპოლიტიკური ვექტორი შეიცვალა, არ არის გამორიცხული რუსებმა დაგვთმონო.

**მერაბ ბრეგაძე**

## რას არ ნახავ!..

# ნაციონალური კრუნჩხვების ორბორბლიანი ხიბლი

(მეოთხე გვერდიდან)

„გურიანიუსის“ გამომცემლის ია მამალაძის ინფორმაციით, „აჯანყებული გურულის“ სკულპტურა პარლამენტარ ხათუნა ოჩიაურის მამის, გოგი ოჩიაურის ნახელავია. თუმცა ამანაც ვერ გადაარჩინა სკულპტურა სხვა ადგილას გადატანას. არადა, გურულებს კარგა ხანს ეგონათ, რომ „აჯანყებული გურული“ ხათუნა ოჩიაურის პატივსაცემად მაინც დარჩებოდა ხელშეუხებელი.

საქართველოში მასკულტურის მოძალების შესახებ პრესაგე.ტვ-მ კომენტარი სთხოვა სპეციალისტებს. არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კოკა ამირეჯიბი** აცხადებს, რომ გიგანტურ ველოსიპედს ისევ ანდროპოვის ყურები სჯობდა.

**— თბილისს შეესატყვისება გიგანტური ველოსიპედი?**

— არავითარ შემთხვევაში, ჩვენს დედაქალაქს, იმ ადგილს არ შეესატყვისება. მანდედან დავით აღმაშენებლის ძეგლი მოაშორეს. ხოლო ველოსიპედი რა შუაშია, ვერ გავიგე.

**— არის ეს კიჩი, ანუ ფსევდოხელოვნება, მასკულტურა?**

— ნამდვილად. უგემოვნოა, საერთოდ არ შეეფერება იმ ადგილს.

**— რატომ დადგეს, მართლაც ველოსპორტის პოპულარიზაციის მიზნით. თბილისი ხომ არ არის ჰოლანდია, სადაც ველოსიპედებით გადაადგილდებიან?**

— რა არის ამის მიზანი, რა, ხუშტურმა მოუარა პრეზიდენტს. თვითონ გადაადგილდება და უყვარს ველოსიპედი, ამიტომაც ყველგან დაგვიდგამენ ახლა ველოსიპედებს, მარტო მანდ კი არა!

**— უცხოეთში თუ შეგხვედრიათ ასე უგემოვნოდ შესრულებული სკულპტურა?**

— არა, რას ბრძანებთ. არსად არ შემხვედრია.

**— მაგრამ ამერიკაში გიგანტური „შპილკაც“ ხომ დგას? ამის მიბაძვით ხომ არ დადგეს გიგანტური ველოსიპედი?**

— არა, ამერიკაში ის „შპილკა“ მაინც უხდება იმ ადგილს. მაღალი შენობებია გარშემო. გიგანტური ველოსიპედი კი ძველ თბილისს და იმ ადგილს არ უხდება. ძალიან კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა მერაბ ბერძენიშვილს, რეზო ბაირამაშვილს უნდა დაედგა მიმინო — თბილისის ლეგენდა; მაღალ კვარცხლბეკზე, შპილის თავზე მიმინო და ხოხობი იქნებოდა, ვახტანგ გორგასლის ნადირობის სცენიდან. მაგრამ არ დადგეს მაშინ კომუნისტებმა. ამათ კიდევ, აგერ, ველოსიპედები დაგვიდგეს.

სამხატვრო აკადემიის რექტორი **გია ბუღაძე** რომელიც უპირატესობას კლასიკურ ხელოვნებას ანიჭებს, მიიჩნევს, რომ თბილისში არ უნდა იდგეს საბჭოთა ფილმის „მიმინოს“ ქანდაკება.

— მე ასე შევაფასებ: სპეციალური კომისია უნდა მუშაობდეს, სამწუხაროდ, ხელოვნების კომისიები საქართველოში არ არის და, როცა რამე იდგმება, ასეთ გადაწყვეტილებებს კომპეტენტური კომისია არ წყვეტს. ასე მგონია, ეს არის ყველაზე ცუდი რამ ჩვენთვის. არიან ადამიანები საქართველოში, როგორც უფროს თაობაში, ასევე — ახალგაზრდებში, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ ამ კომისიაში და კომპეტენტური აზრი გამოიტანონ. ჩემთვის პირადად ე.წ. ველოსიპედი იმდენი უბედურება არ არის, როგორც, მაგალითად, ძველი საბჭოთა პერიოდის, თუნდაც კარგი ფილმების რემიქსების ქანდაკებებად დადგმა (საუბარია „მიმინოს“ გმირებზეძ.

ეს შეეხება ბათუმში დადგმულ „შლოპანცებსაც“. კომისიის გარეშე ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, კომპეტენტური სამხატვრო საბჭო უნდა არსებობდეს. უკვე აღარ ვუყურებ ასეთი კრიტერიუმით, ეს ნიმუშები პირადად მომწონს თუ არა, მთავარია, აღდგეს არქიტექტორების, მოქანდაკეების, მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეებისგან შემდგარი კომპეტენტური საბჭო და ის წყვეტდეს, რა მოუხდება ჩვენს ქვეყანას, რომელი ქანდაკება დაიდგას, რომელი მონუმენტი ან რა ნაგებობა აშენდეს საქართველოში.

**— გიგანტური ველოსიპედის დახმარებით სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია სარწმუნოდ მიგაჩნიათ?**

— ამით ველოსიპედის პოპულარიზაცია შეიძლება მოხდეს, შეიძლება — არა. ეს უკვე შედეგია, მაგრამ ჩემთვის მთავარია, რომ არც ერთ ქვეყანაში კომპეტენტური კომისიის გარეშე — არც ნიუ-იორკში, ლონდონში — არაფერი შენდება და არ იდგმება. მე ვთხოვ ჩემს მთავრობას, ეს გაითვალისწინოს.

**გთავაზობთ მსოფლიოს ქალაქებში დადგმული უცნაური სკულპტურების კოლაჟს, რამაც იქაურ საზოგადოებაშიც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.**

**მანანა ნოზაძე**















# ხელისუფლება და მდიდარი

(მესამე გვერდიდან) იყიდა ქორწინების სასახლე და გადააკეთა იგი თავის რეზიდენციად. ამჟამად შენობის ფასადზე ჰკიდია ბადრის უზარმაზარი პორტრეტი, მის ეზოში კი დამარხულის თავად იგი. ცდილობდა, აეშენებინა ახალი კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე, გაარემონტა იქ რკინიგზის სადგური და აშენა სახლი, მაგრამ მისი ეს პროექტი მკვდარი წერტილიდან აღარ დაძრულა.

თუ ივანიშვილმა სანაპიროზე ააშენა აკვაპარკი, რომელიც წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში ცარიელია, მაგრამ წელიწადში სამი თვის განმავლობაში მუშაობს ბავშვების გასახარად, ბადრის შემდეგ დარჩა მხოლოდ პატარა საკონცერტო მოედანი და ცარიელი ქერქი სახლი. მისი ერთადერთი, მართლაც წარმატებული და გავლენიანი პროექტი საქართველოში, ეს არის ტელეარხი „იმედი“. სიმართლითა და ტკბილი ამბებით ეს არხი სააკაშვილის ჯიბეში აღმოჩნდა. იმედის ნაცვლად ივანიშვილი ცდილობს, საჩუქრად გასცეს ოცნება.

ბადრი იყო საკმაოდ სენტიმენტალური ადამიანი. თავის სასახლეში მოაწყო ნამდვილი ქართული ეზო მეზურნის ფიგურით. ეს მოგვაგონებს ეზოს, რომელშიც თავად გაიზარდა. ჩამოიყვანა უცხოური ფრინველები და მოაწყო ხელოვნური ჩანჩქერი. ივანიშვილმა ჩამოიყვანა თბილისში ცნობილი იაპონელი არქიტექტორი და მთაზე ააგო გიგანტური სასახლე, რომელიც გამოიყურება, როგორც უცხოპლანეტელთა ხომალდი, რომელიც ხოხის თავზე დაჯდა. ივანიშვილი უზარმაზარ ფულს აბანდებს თავის პატარა სამშობლოში. მის სოფელში აშენებს კავკასიაში ლამის ყველაზე თანამედროვე კარდიოლოგიურ ცენტრს, სადაც თბილისიდან მრავალჯერ ჩამოდიან ავტორიტეტული დასავლელი ექიმები პაციენტების მისაღებად.

ბადრი ახლოს იყო საქართველოს წინანდელ ხელისუფლებასთან – შევარდნაძესთან და ცდილობდა დამეგობრებოდა ახალსაც – პრემიერ ჟვანიას, პრეზიდენტ სააკაშვილს. ივანიშვილი ყოველთვის ჩრდილში იყო, თუმცა მის ფულებს აქტიურად იყენებდა ხელისუფლება რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც. მაგალითად, შევარდნაძის დროს ივანიშვილმა ააგო დედაქალაქში ყველაზე დიდი სამების ტაძარი, რომელიც ახლა მთელ თბილისს გადმოსცქერის და თითქოს თრგუნავს კიდეც პრეზიდენტის სასახლეს ავლაბარში. რუსეთიდან მოსული ოლიგარქის ფულით, როგორც ყველა გვარწმუნებს, მოხდა ვარდების რევოლუციაც 2003 წლის შემოდგომაზე.

„აქ არ ყოფილა ამერიკის ფული. ეს არის ლეგენდა, რომელიც თავად მოიგონეს და თავადვე იწამეს. მიშას ფული ჰქონდა მხოლოდ ერთი წყაროდან. ფულს აძლევდა ივანიშვილი. ბიძინა აქ თავის პატარა თამაშს თამაშობდა. ბიძინას არ უნდოდა, რომ პუტინს ეს სცოდნოდა. ბიძინა ვერ იტანდა ბადრის და ბერეზოვსკის, რომლებიც, პრინციპში, მოსკოურ თამაშს თამაშობდნენ“, – ალიარა ჩვენთან საუბარში იმ რევოლუციის ერთ-ერთმა აქტიურმა ორგანიზატორმა.

დღეს ბიძინა ივანიშვილი უარყოფს, რომ სააკაშვილს აძლევდა ფულს, მაგრამ ეს არავის სჯერა. „ამის შესახებ ბევრმა იცის საქართველოში. არა მხოლოდ არჩევნების დროს, ივანიშვილი ყოველთვის მხარს გვიჭერდა. ის მხარს გვიჭერდა ბევრ საკითხში, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც იგი გვეხმარებოდა, თუმცა არ იცოდა, რისთვის იძლეოდა იგი ფულს. მას ძალიან ხშირად უბრალოდ თხოვდნენ ამა თუ იმ ოდენობის ფულს, დეტალების შესახებ კი თვითონ არ კითხულობდა. სააკაშვილი ხშირად იყო სტუმრად მის აგარაკზე საჩხერეში. შეიძლება ითქვას, რომ ის რამდენიმე ათეულჯერ-რაც კი იყო მასთან აგარაკზე“, – აღნიშნავს სააკაშვილის ლტოლვილი თანამებრძოლი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი.

მაგრამ რევოლუციურ პრეზიდენტთან სიახლოვე ყოველთვის მწუხარებით მთავრდებოდა.

თავდაპირველად სააკაშვილმა ომი ბადრი პატარკაციშვილს გამოუცხადა. რომელმა შავმა კატამ გაიარა ბიზნესმენსა და პრეზიდენტს შორის, დარწმუნებით ვერავინ აგვიხსნის, მაგრამ ისინი მტრებად იქცნენ. თანაც ოქრუაშვილი იხსენებს, რომ 2004 წელს იგი ბადრის სწორედ სააკაშვილმა გააცნო: „მან მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთმა გამოაგზავნა მოთხოვნა მისი ექსტრადაციის შესახებ, ბადრი ნერვიულობს და უნდა გაკეთდეს ისე, რომ ის არ ნერვიულობდეს. მიშა ხშირად ყოფილა სტუმრად მის სახლშიც. მე შევხვედრივარ ბადრის, მაგრამ იშვიათად, ალიანსი მასთან არა მქონია“. მხოლოდ 2005 წელს კი პრეზიდენტი თითქოს ბადრის „ჩვენს მთავარ საფრთხედ“ მიიჩნევდა და სთავაზობდა ოქრუაშვილს მის თავიდან მოშორებას. სააკაშვილმა უარი თქვა ამის კომენტირებაზე და არც განმარტა, თუ რა არის პატარკაციშვილთან ომის ნამდვილი მიზეზი. მაგრამ ოლიგარქის წინაშე გააჩაღეს ნამდვილი ომი. მისი ტელეკომპანია „იმედი“ აიღეს იერიშით და მთლიანად გაანადგურეს, მისი ბიზნესი საქართველოში პარალიზებული იყო. ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა ლონდონში 2008 წლის ზამთარში გულის შეტევით, 52 წლის ასაკში. სწორედ მაშინ, როგორც ეს ახლა გახდა ცნობილი, მეორე ოლიგარქმა – ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება გამოვიდეს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. მას არ უყვარდა ბადრი, მის მოქმედებებს მიიჩნევდა საზიანოდ საქართველოსთვის, მაგრამ მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა, ეტყობა, ძლიერი გავლენა იქონია წყნარ ოლიგარქზე.

წელს ბიძინა ივანიშვილს 55 წელი შეუსრულდა.

ჯერ კიდევ 2011 წლის დასაწყისში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის ბიზნესს საქართველოში აჩერებს და გააქვს იგი საფრანგეთში. მაშინ მისმა პრესსამსახურმა ოფიციალურად ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ ივანიშვილს არანაირი პოლიტიკური გეგმები არ გააჩნია. რა მოხდა?

„მე ძალიან გამაოცა მისმა გადაწყვეტილებამ მოვიდეს პოლიტიკაში. აბსოლუტურად გამაოცა. მისთვის საინტერესო იყო ყოფილიყო გავლენის აგენტი, ემართა უხილავი ძაფები, მაგრამ რომ ღიად შეეტია ხელისუფლებისთვის – ეს მას არა ჰგავს“, – გაოცებულია რუსეთელი ოლიგარქი, რომელიც ივანიშვილს მრავალი წელია იცნობს.

„ჩემმა უფროსმა შვილმა უტამ მითხრა, რომ თუ შენ არ წახვალ პოლიტიკაში, მაშინ მე წავალ. მე და ჩემმა მეუღლემ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი შვილები, რომლებიც საფრანგეთში გაიზარდნენ, არიან უფრო დიდი პოლიტიკოსები, ვიდრე ჩვენ და უკეთესი ქართველები, ვიდრე ჩვენ. უტას სიტყვები იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც გადაწონა ყველაფერი და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, – განმარტავს ოლიგარქი და სააკაშვილისთვის დაუნდობელი პირდაპირობით აცხადებს. – მე შევძელი დამეძლია შიში, ეჭვი, სკეპტიციზმი და ახლა რიგი თქვენზეა. ახლა თითოეული თქვენგანი, ქვეყნის თითოეული მოქალაქე ვალდებულია, გაიმარჯვოს თავის თავზე და შეკავშირდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმის გამო. მე გავათვითცნობიერე ჩემი შეცდომები და მივედი დასკვნამდე, რომ საჭიროა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, გავითვალისწინოთ არსი და დანიშნულება პოლიტიკისა და მთლიანად პოლიტიკისაც. ასე გადავწყვიტე მოვიდე პოლიტიკაში, აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში. ყოველთვის ვასრულებდი ჩემს დაპირებებს, ყოველთვის ვასრულებ ჩემს ვალდებულებებს. რახან მე ქართველ ხალხს ვაძლევ სიტყვას, რომ მოვალ ხელისუფლებაში, მაშასადამე, აუცილებლად მოვალ!“



სააკაშვილის მომხრეებმა უმალვე დასდეს ბრალი ოლიგარქს იმაში, რომ ის ასრულებს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას. ივანიშვილი აცხადებს, რომ არ აქვს განზრახული თავი იმართლოს „ბინძურ ჭორებზე და აბსურდულ ბრალდებებზე, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ მოიგონა“. 9 წლის განმავლობაში, რაც, ივანიშვილის სიტყვებით, ის არ ყოფილა რუსეთში, „არ ყოფილა ერთი ზარიც კი რუსეთის პოლიტიკური წრეებიდან და არ ყოფილა არც ერთი შეხვედრა რუსეთელ პოლიტიკოსებთან“.

თემა „უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის, კრემლის, უშიშროების ფედერალური საბჭოს, მოსკოვის აგენტების შესახებ“ იქცა ქართული პოლიტიკის თავსმოხვეულ ბოდვად. რუსეთის სპეცსამსახურებთან საიდუმლო კავშირებში ერთმანეთში ეპარებათ ეჭვი როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. კრემლის აგენტს უწოდებდნენ შევარდნაძეს, ახლა სააკაშვილი თავის ნებისმიერ მოწინააღმდეგეში უშიშროების ფედერალური სამსახურის აგენტს ხედავს. მაგრამ ყველაზე სასაცილოა, რომ თავად მას სდებენ ბრალს რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირში. აი, რას აცხადებდა ორი წლის წინათ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გამყრელიძე: „მაპატიეთ, მაგრამ რაღაც საკითხები ხდება ავტომატურად. მაგალითად, იგივე ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე, უშიშროების ფედერალურ სამსახურზე. რატომ არის ის ასეთი მამაცი და რატომ უჭერს მხარს ასე აქტიურად სააკაშვილს თავისი მილიარდებით?“ საქართველოს ხელისუფლება უტევს ყოფილ მეგობარსა და სპონსორს ყველა ფრონტზე. ყოველდღე ხდება რაღაც ექსცესები ბიზნესმენის ან მისი მეგობრების სტრუქტურებთან. ჯერ ერთი, მას უმალვე ჩამოართვეს საქართველოს მოქალაქეობა და ახლა თუ იგი დატოვებს ქვეყნის საზღვრებს, უკან უკვე ველარ დაბრუნდება.

შემდეგ განაიარაღეს ივანიშვილის პირადი დაცვა. მისი მცველები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის თანამშრომლები არიან და ბიზნესმენთან მუშაობდნენ კონტრაქტით. მათ ყველას უბრძანეს ჩაებარებინათ იარაღი. ისინი დაემორჩილნენ ბრძანებას, მაგრამ მიეტოვებინათ თავიანთი ზრუნვის ობიექტი, უარი განაცხადეს, ახლა ივანიშვილს იცავენ უიარაღოდ.

ამ ცოტა ხნის წინათ ბათუმის ნავსადგურში დააკავეს საქველმოქმედო, სამშენებლო კომპანია „ატუს“ ტვირთი – ორი ტრანსფორმატორი და მაღალი ძაბვის დენის ორი გამანაწილებელი, რომლებიც გათვალისწინებული იყო საჩხერეში სამედიცინო ცენტრისთვის.

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა დააჯარიმა ბიძინას კამპანია 4 ათასი ლარით, თითქოსდა დედაქალაქის ცენტრში როსტომ მეფის სასახლის არასწორად განხორციელებული რესტავრაციისთვის. ის თითქმის 10 წელი აწარმოებდა რესტავრაციას და აშენებდა ყველაფერს წესების დაცვით, აქ კი აღმოჩნდა, რომ მშენებლობის ეს წესები თურმე, დარღვეული ყოფილა. არაფერია გასაოცარი, თუ კიდევ ერთი კვირის შემდეგ მის სასახლეს გამოურთავენ წყალს და გადაუკეტავენ კანალიზაციას.

ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა აშკარად საანეკდოტო შემთხვევა. თბილისის აეროპორტში დააკავეს ბიზნესმენის მოსკოვის ოფისის წარმომადგენელი ვალერი ლევინი, რომელსაც ივანიშვილისთვის მოჰქონდა დოკუმენტები, რაც აუცილებელი იყო ბიზნესის გაყიდვისთვის რუსეთში და რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ. დოკუმენტებთან ერთად მან ოლიგარქის 14 წლის ქალიშვილისთვის – გვანცასთვის ჩამოიტანა ჟურნალი „ენერგია კამნია“. ეს ჟურნალები მოსკოვის ყველა ჯიხურში იყიდება. მათ თან ახლავს მინერალების კოლექციაც. მილიარდერის ქალიშვილი მათ კოლექციონირებას ახდენს. საქართველოს სპეცსამსახურების ფხიზელმა თანამშრომლებმა დააკავეს მოქალაქე ლევინი იმის საბაბით, რომ მას ჩამოჰქონდა რადიაქტიური ქვები!

ჯერჯერობით კი ხელისუფლების აგრესიული თავდასხმები ხალხში ბიზნესმენისადმი მხოლოდ თანაგრძნობას იწვევენ. პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური ლიდერი თავის გამოთქმებში მხარს უჭერს ბიზნესმენს და აცხადებენ, რომ მზად არიან, წავიდნენ არჩევნებზე მასთან ერთად. „მილანის“ ფეხბურთელმა კახა კალაძემაც კი ამასთან დაკავშირებით გააკეთა სპეციალური განცხადება.

ივანიშვილი ხელისუფლების ყოველგვარ თავდასხმაზე რეაგირებას ახდენს მშვიდად. თუმცა მას შეუძლია მკაცრი და უხეში სიტყვაც კი იხმაროს. მას ყოველთვის სჯერა, რომ თავიდან აიცილებს მკაცრ, შეიძლება ქუჩის დაპირისპირებასაც სააკაშვილთან. განაცხადა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია ქუჩის აქციებისა და განზრახული აქვს ყველაფერი გააკეთოს ისე, რომ ეს არ მოხდეს. მან მშვიდობიანი რეფორმატორის როლი აირჩია. მისი მხარე დაიკავა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რაც მეტად რელიგიურ საქართველოში ბევრ რამედ ღირს. ილია მეორემ მიიღო თავისთან ივანიშვილი, მიმართა ხელისუფლებას თხოვნით, დაუბრუნონ ბიზნესმენს საქართველოს მოქალაქეობა და წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საჯაროდ გამოთქვა იმედი, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღუდგენს ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას.

ბიძინა ივანიშვილი გამანადგურებლად პოლიტიკური საფრთხეა მიხეილ სააკაშვილისთვის. საქმე ის არის, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, რომლის თანახმადაც მთავრობის ხელმძღვანელი, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ხელმძღვანელი ხდება. ეს ცვლილებები საშუალებას აძლევს სააკაშვილს, შეინარჩუნოს ხელისუფლება ორი საპრეზიდენტო ვადის შემდეგაც. თუ ივანიშვილის პარტია 2012 წლის პარლამენტის არჩევნებზე გაიმარჯვებს, ანდა შეაგროვებს ხმების დიდ ოდენობას, მაშინ სააკაშვილის ყველა გეგმა დაემხობა. ომი, ამრიგად, იწყება სერიოზული, ვინ გაიმარჯვებს, ამის გამოცნობა წინასწარ შეუძლებელია.

მაგრამ მოსკოვსაც დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს ივანიშვილის გამარჯვებისა. თუნდაც მან სააკაშვილთან ბრძოლაში გაიმარჯვოს და გახდეს საქართველოს ხელმძღვანელი, ფუნდამენტური პრობლემები ჩვენს ქვეყნებს შორის შენარჩუნებული იქნება. არ უნდა ველოდოთ ივანიშვილსგან, რომ ის უარს იტყვის ქართულ პრეტენზიებზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ამ ცოტა ხნის წინათ მან გააკრიტიკა კიდეც საქართველოს დათმობები რუსეთთან მოლაპარაკებაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით. „კარგია, რომ საქართველო დათანხმდა, მაგრამ მინდა აღვნიშნო ერთი ნიუანსი: საქართველოს არაფერი მიუღია, გარდა ახალი სირთულისა, და მონიტორინგი, რომელიც თავს მოგვახვიეს, ხელსაყრელია თავად რუსეთისთვის. ფაქტია, რომ რუსეთი ხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და საქართველოს მასთან არანაირი ეკონომიკური ურთიერთობები არ გააჩნია. აქ არ არის საქართველოს არანაირი ინტერესები და არ არის გათვალისწინებული ქართველი ხალხის ინტერესები“. სადაც არ უნდა გამოემუშავებინა თავისი მილიარდები ივანიშვილს, ის უწინარეს ყოვლისა, ქართველია.

**შეუმჩნეველი მილიარდერი**

**სავიზიტო ბარათი**

ბიძინა ივანიშვილი დაიბადა 1956 წლის 18 თებერვალს სოფელ ჭორვილაში ქალაქ ჭიათურის მახლობლად, საჩხერის რაიონში, მამამისი მუშაობდა მეშახტედ „ჭიათურმანგანუმის“ კომბინატში. 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1982 წელს შევიდა და 1986 წელს დაამთავრა შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა მოსკოვში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მაშინ დაირქვა მეორე სახელი ბორისიც, ვინაიდან მის ქართულ სახელს ძნელად წარმოთქვამდნენ და ძნელად იმახსოვრებდნენ.

მუშაობდა თბილისში შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1980 წლის ბოლოს კამოს სახელობის სამსხმელ-მექანიკურ ქარხანასთან შექმნა არმირებული შლანგების წარმოების კოოპერატივი. ვაჭრობდა კომპიუტერებით თბილისსა და მოსკოვში.

1988 წლიდან 1990 წლამდე იყო კინოს მეგობართა საზოგადოების არაპროფესიული კინემატოგრაფისტების ფედერაციის კომერციული ინფორმაციის სრულიად საკავშირო ცენტრის განყოფილების უფროსის მოადგილე. 1990 წელს ჩამოაყალიბა ბანკი „როსიისკი კრედიტი“. 1992 წლიდან იყო „მარკპოლბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი. 1994 წლიდან ეკავა ბანკ „როსიისკი კრედიტის“ პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა. იყო „ტრიადა-ერთის“ დამაარსებელი, რომელსაც ჰქონდა სააქციო საზოგადოების აქციების პაკეტი. 1997 წელს შექმნა ჰოლდინგური კომპანია „მეტალოინვესტი“ სამრეწველო აქტივებისა და უძრავი ქონების მმართვისთვის. 2002 წელს შექმნა აფთიაქების ქსელი „დოქტორი სტოლეტოვი“. 2003 წლის ნოემბრიდან 2006 წლის მაისამდე იყო „იმპექსბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი. ივანიშვილი შედის ჟურნალ „ფორბსის“ რეიტინგში 2005 წლიდან. 2011 წელს მან 25-ე ადგილი დაიკავა 5,5 მილიარდი დოლარის ქონებით. 2004 წელს გადავიდა საცხოვრებლად საქართველოში. აქ მან ჩამოაყალიბა კერძო ნაკრძალი, რომელიც მდებარეობს მის მუდმივ რეზიდენციასთან სოფელ ჭორვილაში საჩხერის რაიონში. ეწევა აქტიურ ქველმოქმედებას, აფინანსებს თეატრებსა და ეკლესიების აღდგენას მის მიერ შექმნილი ფონდის „ქართუს“ მეშვეობით. 2011 წლის 11 ოქტომბრამდე, ფაქტობრივად, არ გამოჩენილა საზოგადოებაში და არ მიუცია ინტერვიუ. ჰყავს ცოლი და 4 შვილი.

**პაველ შერემეტი,**

ОГОНЁК

№ 46. 21.11.2011.

◎ წინ, საქართველო!

# ქართველი ბავშვების ოსტატობას ტაშს უკრავდა დანიის დედოფალი



**ახლახან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „შეჯიბრი“, რომლის ხელმძღვანელია ცნობილი ქორეოგრაფი, მოცეკვავეთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და თბილისის საპატიო მოქალაქე ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲝᲒᲝᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ქალბატონი ნინო ანანიაშვილის ძალისხმევით დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართული ბალეტის მსოფლიო „ვარსკვლავების“ საქველმოქმედო კონცერტებში იღებდა მონაწილეობას.**



— აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვიყავით ერთადერთი ფოლკლორული ანსამბლი, **— უამბობს „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტს ბატონი თამაზ გოგოტიშვილი,** — ამ ფაქტმა გამოიწვია, ალბათ, რომ კონცერტი ჩვენმა ბავშვებმა გახსნეს. დაიწყო ქართული რიტმები დოლებით, სადაც სხვებთან ერთად გოგა გაგნიძე „ანგრევს“ ყველაფერს, ამას მოჰყვა ორი სალამურით ქართული პოპური, რომელიც ირაკლი ჩიხელიძემ დაუკრა, შემდეგ სცენა დაეთმო ცეკვა შეჯიბრს — ანი ხუხუნაიშვილმა (ანსამბლში ერთი გოგონა და ოთხი ბიჭია) თავისი ოსტატობით მოხიბლა მაყურებელი და მქუხარე ოვაციაც დაიმსახურა, ხოლო ლუკა ჩოხელის ტრიუკებმა პირდაპირ გააოცა დარბაზი, იყო ერთი კივილი და „ბრავოს“ შეძახილები. „შეჯიბრი“ მაყურებლებმა ორჯერ გაამეორებინეს ბავშვებს... აღსანიშნავია, რომ ამ კონცერტზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოფრინდა ამერიკიდან ქალბატონი ნინო ანანიაშვილი, რომელსაც, დამიჯერეთ, 1200 კაცი ფეხზე წამოუდგა და 15 წუთი უკრავდა ტაშს. ნინომ იცეკვა, შემდეგ კი ჩვენს ბავშვებს ჩაჰკიდა ხელი, გაიყვანა მაყურებლის წინ და ერთად გადაიხადეს სამადლობელი.

რა თქმა უნდა, ქალბატონ ნინოს დიდი მადლიერება ეკუთვნის ჩვენგან, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ჩვენი ანსამბლისადმი... საინტერესოა აღინიშნოს, რომ კოპენჰაგენში, სამეფო თეატრში გამოსვლის წინ ქალბატონმა ნინომ ბავშვებთან ჩაატარა რეპეტიცია, დაარიგა ისინი თუ როგორ მისალმებოდნენ ლოჟაში მყოფ დანიის დედოფალს, რაც ჩვენს ბავშვებს არ შეშლიათ, ხოლო თვითონ დედოფალი დიდხანს უკრავდა ტაშს მათ ხელოვნებას.

მეორე დღეს კი კოპენჰაგენის საბალეტო სასწავლებლის მოსწავლეებისთვის გავმართეთ კონცერტი, ვაჩვენეთ 35-წუთიანი პროგრამა, რომელსაც ესწრებოდნენ იქაური მუსიკის პედაგოგები, კონცერტმაისტერები, მშობლები... მეტი რა გითხრათ, მოკლედ, ეს იყო ჩვენი ანსამბლის კიდევ ერთი ტრიუმფალური გასტროლი...

**სურათებზე:** ცეკვავს ანი ხუხუნაიშვილი; ბიჭები ასრულებენ „დოლურს“.

◎ წიგნი

# თითქმის უცნობი ფურცლები

## „საქართველოს სენატი და მისი პირველი საჭეთმპყრობელი – დავით ხელთუფლიშვილი“

**ანოტაცია** აღნიშნული ნაშრომისა შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918–1921 წ.წ.) მომხდარ ისეთ ისტორიულ მოვლენასა და ადამიანს, როგორიცაა საქართველოს სენატის (დღევანდელი საქართველოს უზენაესი სასამართლო) დაარსება და სენატის პირველი ხელმძღვანელი დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი.

ისტორიული წყაროების მიხედვით —„1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმი შეიქმნა, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის (მაშასადამე, რუსეთისაგან ჩამოშორების) გამოცხადებით მყისვე ისარგებლა ოსმალეთმა და ბრესტის ზავისაგან ნაბოძები მიწებით აღარ დაკმაყოფილდა. აზერბაიჯანსაც თვალი უფრო მოძმე და მონათესავე თურქეთისაკენ ეჭირა. ამიტომ აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის თვითმმართველობის დაშლა, რათა სამივე სახელმწიფოს — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს თვითონ მიეხედა თავისი თავისათვის. ე. ი. დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც განხორციელდა კიდეც 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის ხუთ საათსა და 10 წუთზე (იმავე დღეს, დილით, გაუქმდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა). შეიქმნა ეროვნული მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი“.

> *2005 წელს დაწყებული თანამედროვე ქართული სასამართლო რეფორმის წიაღში მომწიფებული იდეა – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მისი, სულ ახლახან, 2010 წლისათვის პრაქტიკაში განხორციელება ეხმიანება და აგრძელებს 91 წლის წინათ ჩახშობილ მაღალ მისწრაფებებს, რომლებიც იმდროინდელ საქართველოს განვითარებასა და დემოკრატიის ევროპულ ხარისხს უქადდა, რომ არა 1921 წლის თებერვლის ცნობილი მოვლენები.*

საქართველოს ტერიტორიაზე 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში, საქართველოს სენატის დაარსებისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოს დაწყების ინიციატივა ეროვნულ მთავრობას ეკუთვნოდა. საქართველოში სენატის დაარსების საკითხის წამოჭრა ეროვნული (დროებითი) მთავრობის მიერ იმ დროისათვის არსებული ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, სრულიად მართებული, მეტად საჭირო და სასიკეთო ნაბიჯი იყო. სწორედ ამ ინიციატივის განმახორციელებელი აღმოჩნდა 1918-1919 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომლის ბაზაზეც და რომლის ინტელექტუალური თუ საკადრო ძალების საშუალებითაც შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს — საქართველოს სენატის დაარსება.

მაშინდელი საქართველოს დამოუკიდებლობის დროის ამ მცირე ისტორიულ მონაკვეთში (1918-1921წ.წ.), პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე სხვა მხრივაც ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში მომხდარი ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, როგორიცაა საქართველოს სენატის დაარსება.

და ვინაიდან ჩვენი ყურადღება სწორედ ამ ისტორიულმა მოვლენამ მიიპყრო, გადავწყვიტეთ ამ მოკრძალებული ნაშრომის კვლევის საგანი ყოფილიყო — საქართველოს სენატის დაარსება და მისი პირველი ხელმძღვანელის — დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილის პიროვნების წარმოჩინება.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ქართული სახელმწიფოს იმდროინდელ რეფორმატორთა ღვაწლი დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბებისათვის, რაც დღეს, ქვეყნის მომავალი განვითარებისა და შემდგარი ქართული სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ 1918-1921 წლებში წამოწყებული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი თავისი რეფორმებით ძალიან წააგავს დღევანდელობას. იმ დროში გატარებულმა რეფორმებმა, კერძოდ კი სასამართლო რეფორმამ გარკვეულწილად დღევანდელობაში ჰპოვა ასახვა. თუნდაც რად ღირს ერთი ძვირფასი მაგალითი, რომელიც იმდროინდელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (*ჯური ტრიალ*) შემოღებას ეხება. ახლაც, ისევე, როგორც მაშინ, ჩვენი იმდროინდელი შეგნებული და ინტელექტუალური წინაპრების მსგავსად, ქართული სახელმწიფო და მისი განვითარებული თაობები ისწრაფვიან თანამედროვე და სამაგალითო სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებისაკენ.

2005 წელს დაწყებული თანამედროვე ქართული სასამართლო რეფორმის წიაღში მომწიფებული იდეა — ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მისი, სულ ახლახან, 2010 წლისათვის პრაქტიკაში განხორციელება ეხმიანება და აგრძელებს 91 წლის წინათ ჩახშობილ მაღალ მისწრაფებებს, რომლებიც იმდროინდელ საქართველოს განვითარებასა და დემოკრატიის ევროპულ ხარისხს უქადდა, რომ არა 1921 წლის თებერვლის ცნობილი მოვლენები.

მოცემულ ნაშრომში შემდეგი საკითხები იქნა გამოკვლეული: საქართველოს სენატის დაარსება. სენატის დებულების შემუშავება და შემდეგ მისი მიღება საკანონმდებლო ორგანოს — საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერვე სენატის სასენატორო და სათავმჯდომარეო კანდიდატთა შერჩევა და სენატის დებულების საფუძველზე მათი არჩევა.

სენატის პირველი თავმჯდომარის ბიოგრაფიული ცნობები, გენეალოგია, ნათესაური კავშირები და სხვ.

ახლო მომავალში, ანოტაციაში მოხსენიებული ნაშრომი გამოქვეყნდება წიგნის სახით.

ნაშრომში შევეცადეთ გამოგვეკვლია თითქმის უცნობი ფურცლები ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, რომელთათვისაც დღის სინათლის ხილვა ესოდენ ძვირფასი იქნება ქართული სახელმწიფოს განვითარებისათვის.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲐᲜᲩᲐᲕᲐ,**
**ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ᲝᲠᲗᲝᲘᲫᲔ.**

◎ წკეპლიკა

# ორთოგრაფიულ ნორმებს გაზეთი არ უნდა ადგენდეს!..

**დაბეზღება, უტაქტობა თუ ჩაშვება რომ არ გამომივიდეს, არ დავასახელებ, რომელ გაზეთზეა ლაპარაკი; იმას კი ვიტყვი, რომ ყოველკვირეული, 40-გვერდიანი, უსახელობას არ უჩივის და, შესაბამისად, „გაყიდვადია“..**

მე ამ მედიასაშუალების სისტემატური მკითხველი გახლავართ, „ა“-დან „ჰ“-მდე არაფერს არ ვუშვებ, თუმცა მიკერძოებულიცა ვარ. ამიტომაც გაკვირვებითა და გულისტკივილით ვამჩნევ, კაი ხანია, ენობრივ დაუდევრობებს, კერძოდ, ორთოგრაფიულ შეცდომებს; მაგალითად, ჯიუტად წერენ „არცერთი“, „არცერთხელ“, „არცკი“, „ვერცერთი“, „ვერცერთხელ“, „მითუმეტეს“, „სხვათაშორის“, „სხვამხრივ“ და ეგების ასე შემდეგაც...

საქმე ის არის, რომ ჩამოთვლილი და ჩაწინწკლული სიტყვებიდან **არც ერთი** არ იწერება ასე ერთიანად და **ვერც ერთ** ორთოგრაფიულ ლექსიკონში (ქართული ენისა, ცხადია), ვერც ნახავთ ასე ჩაწერილს. ისინი იწერებიან, როგორც „არც ერთი“, „არც ერთხელ“, „არც კი“, „ვერც ერთი“, „ვერც ერთხელ“, „მით „უმეტეს“, „სხვათა შორის“, „სხვა მხრივ“ — ცალ-ცალკე!..

**სხვათა შორის,** მქონდა შემთხვევა, რომ ამ საგანზე გაზეთის ყველაზე აქტიურ, ყველაზე ხშირად „გამოქვეყნებად“, ყოველ ნომერში საავტორო ფართობის ლომის წილის მფლობელ კალმოსანს გამოვსაუბრებოდი და იცით, რა მიპასუხა? ორთოგრაფიული ნორმები ლექსიკონებში გადახედვას საჭიროებენო...

აი, ჩვენი შესანიშნავი ენათმეცნიერები კი რატომღაც არ ჩქარობენ გადახედვას... ვერ ხედავენ საჭიროებას...

**ᲗᲐᲛᲐᲖ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ**

◎ ჩვენი საქართველო

# კიდევ ერთხელ გაიცანით ბორჯომი!

**ჩვენს საამაყო კურორტ ბორჯომს სახელი და პოპულარობა არ აკლია. მის ბუნებასა და უნიკალურ წყალს აქებს უცხოელი და ჩვენებური... აქებენ საგაზეთო და საჟურნალო წერილებით, წიგნებით, ბუკლეტებით... და აი, კიდევ ერთი ბუკლეტი-გზამკვლევი „ბორჯომი“ შეემატა უამრავ საცნობარო ლიტერატურას, რომლის ტექსტის ავტორები არიან ვალერიან ლომიძე და ზაურ ლაზარაშვილი. ავტორების მშვენიერი, მეცნიერული ანალიზით გაჯერებული ტექსტის წყალობით, ბორჯომში ჩამოსული შინაური თუ უცხოელი, ქართულად, რუსულად და ინგლისურად გაეცნობა კურორტ ბორჯომთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანს, თან დატკბება ფერადი ფოტომასალით, რომლის ავტორები არიან ნუგზარ ქარელი და თიკო ჯავახიძე.**

**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ**



ფეხბურთი

# ახლა რაღას დააბრალებენ?



**გახსოვთ, შარშან თემურ ქეცბაიამ ეროვნული სტადიონის მინდვრის საფარი ყანად რომ მოიხსენია და მას დააბრალა ისრაელის ნაკრებთან ქულების დაკარგვა?**

ეტყობა, თბილისის „დინამოს“ მესვეურებმა გაითვალისწინეს „ჯვაროსანთა“ თავკაცის მწარე გაკვეთილი და ქვეყნის მთავარ სარბიელზე ოპერატიულად გამოცვალეს გაზონი, თანაც გზადაგზა განათების სისტემასაც შეავლეს ხელი.

ალბათ, ლოგიკურიცაა, რომ დედაქალაქის მშვენების უკვე მერამდენე საბრძოლო ნათლობა XXIII ეროვნული ჩემპიონატის XVI ტურის ცენტრალური მატჩით მოხდა: „დინამო“ – „ტორპედო“.

ქუთაისელები ლიხს აქეთ ზედიზედ 6 გამარჯვების შემდეგ ეწვივნენ, მაგრამ ხომ იცით – ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული.

პირდაპირ უნდა ითქვას – მასპინძლებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს პრინციპული მეტოქე (მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ესპანელმა ლეგიონერებმა ოთხჯერ მოარტყეს ბურთი გია გეგუჩაძის გუნდის კარის ძელსძ და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს – 2:0 (ხისკო, თომაშვილიძ.

**დანარჩენი შედეგები:** „დილა“ – „ზესტაფონი“ 0:2, „კოლხეთი“ – „ბაია“ 0:0, „მერანი“ – „ვიტ ჯორჯია“ 3:0, „სიონი“ – „ცხინვალი“ 1:2, „მეტალურგი“ – „გაგრა“ 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“ – 32, „დინამო“ – 29, „ტორპედო“ – 28, „მერანი“ – 26, „მეტალურგი“ – 25, „ბაია“ – 20, „ვიტ ჯორჯია“ – 16, „გაგრა“ – 15, „კოლხეთი“, „ცხინვალი“ – 13-13, „დილა“ – 11, „სიონი“ – 7 ქულა.



**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „ზესტაფონი“ – „დინამო“, „დილა“ – „კოლხეთი“, „ტორპედო“ – „მერანი“, „ვიტ ჯორჯია“ – „სიონი“, „ცხინვალი“ – „მეტალურგი“, „გაგრა“ – „ბაია“.

* * *

**ინგლისი.** „ჩელსი“ – „ლივერპული“ 1:2, „სიტი“ – „ნიუკასლი“ 3:1, „სუონსი“ – „მანჩესტერი“ 0:1, „ნორვიჩი“ – „არსენალი“ 1:2.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ბორუსია“ 0:1, „შალკე“ – „ნიურბერგი“ 4:0, „გლადბახი“ – „ვერდერი“ 5:0, „კაიზერი“ – „ლევერკუზენი“ 0:2.

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „პალერმო“ 3:0, „ფიორენტინა“ – „მილანი“ 0:0, „რომა“ – „ლეჩე“ 2:1, „ნაპოლი“ – „ლაციო“ 0:0, „ინტერი“ – „კალიარი“ 2:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „სარაგოსა“ 4:0, „ვალენსია“ – „რეალი“ 2:3, „ატლეტიკო“ – „ლევანტე“ 3:2, „სევილია“ – „ბილბაო“ 1:2.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ – „რენი“ 1:2, „მონპელიე“ – „მარსელი“ 1:0, „პსჟ“ – „ნანსი“ 0:1.

კალათბურთი

# საოქმო ენით

**სუპერლიგის VI ტური.** „ქუთაისი“ – შსს 76:96. **ყველაზე შედეგიანები:** ბარბაქაძე – 20, ცეკვავა – 15 („ქუთაისი“ძ, ბლერი – 26, სმიტი – 23 ქულა (შსსძ. „ოლიმპი“ – სტუ 101:85. **ყველაზე შედეგიანები:** სლიუკა – 25, ბერიშვილი, გულისაბედაშვილი – 18-18 ქულა („ოლიმპი“ძ, ბერუაშვილი – 30, ჩაჩიბაია – 17 ქულა (სტუძ. „სოხუმი“ – თსუ 102:81, **ყველაზე შედეგიანები:** ფარღალავა – 33, ფაცაცია – 29 ქულა, („სოხუმი“ძ, ნინიაშვილი – 21 ქულა(თსუძ. „დინამო“ – „რუსთავი“ 101:84. **ყველაზე შედეგიანები:** მარხვაშვილი – 21, კარტერი – 18 ქულა („დინამო“ძ, ხმელიძე – 21, კოპალიანი – 15 ქულა („რუსთავიძ. „არმია“ – „სამედიცინო“ 99:85ძ.



**ყველაზე შედეგიანები:** რიჩარდსონი – 20, დიასი – 19 ქულა („არმია“ძ, ჭოჭუა – 18, ჩიკვილაძე, პირველაშვილი – 12-12 („სამედიცინო“ძ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“, „სოხუმი“ – 5-5, „ოლიმპი“, „ქუთაისი“ – 4-4, შსს, „სამედიცინო“, სტუ – 3-3, „დინამო“ – 2, თსუ – 1, „ბათუმი“, „რუსთავი“ – 0-0 მოგება.

**დღეს. თბილისის სპორტის სასახლე. 18 საათი. ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდი: III ტური. „არმია“ – „ლეიდენი“ (ჰოლანდიაძ.**



ძიუდო

# უკვე ცაიტნოტში ვართ

**ძიუდოს ქართველი გულშემატკივრები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი სეზონის ერთ-ერთი უკანასკნელი სალიცენზიო ტურნირის – ამსტერდამის გრან-პრის წინ, მაგრამ ჰოლანდიურ ტატამზე გამართულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ გაგვაწბილა.**

უკე გაუწყეთ, რომ სასტარტო დღეს ვერცხლის მედალი და 120 სარეიტინგო ქულა ამირან პაპინაშვილმა დაიმსახურა. დასანანია, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა – დანარჩენები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ. მათგან საუკეთესომ ვარლამ ლიპარტელიანმა მხოლოდ 2 ბრძოლა მოიგო და მეხუთე ადგილის დაკავებით 40 ქულით გაიმდიდრა პირადი მონაგარი, მისმა პარტნიორებმა კი მხოლოდ 4(!ძ მეტოქის დამარცხება შეძლეს სხვა წონებში, რაც, ბუნებრივია, კატასტროფული შედეგია.

არადა, ლონდონის ოლიმპიადამდე წელიწადზე გაცილებით ნაკლები დრო რჩება და დიდი ზარზეიმით მოწვეული ავსტრიელი მწვრთნელის პეტერ ზაიზენბახერის შეგირდთა იქ გამგზავრების შანსები თანდათან მცირდება...



რაგბი

# მერე რა, რომ უმაღლესი დატოვა



**კომპანია „ვისოლის“ ნაამაგარმა „ყოჩებმა“ მზრუნველთა ამაგი წყალში ჩაყარეს და უმაღლესი ლიგა დატოვეს.**

**სეზონის მიწურულს მათ რეაბილიტაციის შანსი მიეცათ და ეროვნული თასის გათამაშების ფინალში გასვლით იგი გამოიყენეს კიდეც. აღსანიშნავია, რომ „ლელოსთან“ პირველ რაუნდში მოპოვებულ ხუთქულიან უპირატესობას საპასუხო ბრძოლის 4 ქულით დათმობა მოჰყვა, რაც, მარტივი არითმეტიკის შესაბამისად, საკმარისი აღმოჩნდა საერთო წარმატებისთვის.**

რაც შეეხება დასკვნითი ბრძოლის მეორე მონაწილეს, იგი წლევანდელმა ქართულმა საკლუბო „ელ კლასიკოებმა“ გამოავლინა.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ ერთთვეში „არმია“ და ქუთაისის „აია“ ეროვნული ჩემპიონატის ფინიშზე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ტიტული თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ხვდათწილად, თანაც მეტოქემ მხოლოდ ერთხელ იმარჯვა.

თბილისელებმა „დუბლისკენ“ ნაბიჯი სტუმრად პირველი დუელის 6 ქულით მოგებით გადადგეს, თუმცა საპასუხო მატჩი რიონისპირელთა ლელოთი დაიწყო და ჰაერში რევანშის სუნი დატრიალდა.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, რომ წლეულს არმიელები ყველას აღემატებიან – ისინი შესვენების წინ კობახიძის ლელოთი დაწინაურდნენ, ხოლო მეორე ტაიმში გადამწყვეტ უპირატესობას დაეუფლნენ – 17:9.

**ასე რომ, 26 ნოემბერს 14 საათზე ავჭალის სტადიონზე სათასო ფინალია: „არმია“ – „ყოჩები“.**

დარბაზბურთი

# ორი წუთის ფასი

**რომ გვეგონა, თბილისის „იბერია სთარს“ სასტარტო მატჩში უნგრულ „დიორთან“ განცდილი ფიასკოს შემდეგ ევროპული ფუტსალის ელიტაში არაფერი ესაქმებაო, თურმე მწარედ ვცდებოდით.**

უკრაინელი თავკაცის ოლეგ სოლოდოვნიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმის შემდეგ ბიჭები მდგომარეობიდან გამოიყვანა და კინაღამ ოთხთა ფინალში გაიყვანა. სამწუხაროდ, კინაღამ...

არადა, მეორე ტურში რუმინულ „ტირგუ მურეშთან“ მოპოვებული ღირსეული გამარჯვების შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, ჩვენი გუნდის ქომაგები უკეთესს ვერც ინატრებდნენ.

კერძოდ, იმედის შუქი მაშინ აკიაფდა, როცა კარპატელებმა მადიარებს სძლიეს, რითაც მაქსიმალურად გაგვიადვილეს ამოცანა – საკმარისი იყო ნებისმიერი ანგარიშით მოგვეგო მასპინძელთათვის და ოცნება რეალობად იქცეოდა.

გაქართველებულ ბრაზილიელებს ცდა არ დაუკლიათ სასწაულის მოსახდენად, ერთ ეპიზოდში 4:1 დაწინაურდნენ და თითქოს ძლევაი საკვირველამდე აღარაფერი რჩებოდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე ლისაბონის „სპორტინგმა“ ანგარიში გაათანაბრა – 5:5 და თითონ იპირველა.



ეპიტაფია

# მანანა ქიქოძე

ქართველი ისტორიკოსები დიდი გულისტკივილით უკანასკნელ გზაზე აცილებენ მეგობარს, კოლეგას, მშვენიერ მანანა ქიქოძეს.

მანანა გამორჩენილი მწერლისა და მეცნიერის გერონტი ქიქოძისა და მხატვრის ანასტასია ამირეჯიბის ქალიშვილი იყო. ბავშვობისა და ყრმობის წლები მან ინტელექტუალურ სამყაროში გაატარა. იგი მშობლების უახლოესი მეგობრების მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო გუდიაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სერგო კლდიაშვილის გარემოცვაში გაიზარდა. პატარა, ლამაზ გოგონას ანებივრებდნენ და ასეთ ლექსებსაც უძღვნიდნენ: „პირმშვენიერო წინანდლის ვარდო, ქართული ზღაპრის გავხარ ფერიას, ორბელიანთა სჯობხარ მანანას, ქართლის მგოსნები რომ უმღერიან.“ (კონსტანტინე გამსახურდია. ქვიშხეთი, 1936 წ.ძ. შემდეგშიც მისი ნატიფი, განუმეორებელი გარეგნობა ქართველი არაერთი პოეტის, მხატვრისა და კომპოზიტორის შთაგონების წყაროდ იქცა.



ადრეულ ასაკში, როგორც მანანა თავად იხსენებდა, მამას მისთვის არც ანბანი უსწავლებია და არც წიგნები წაუკითხავს. მამაშვილის ურთიერთობა ბიბლიურ სიუჟეტთა და ისტორიულ ამბავთა თხრობაში წარიმართებოდა. მთაწმინდისა და სოლოლაკის ფერდობებზე, ბოტანიკურ ბაღში მასთან ერთად სეირნობა ბუნებასთან აახლოვებდა.

მანანასა და მისი მეგობრების ბედნიერი ბავშვობა მკვეთრად გაფერმკრთალდა 1937 წელს. რეპრესიების შედეგად ოჯახის ბევრი მეგობარი და ნათესავი დააპატიმრეს, გადაასახლეს, დახვრიტეს. ხოლო მანანას თანაკლასელების ერთი ნაწილი, როგორც „ხალხის მტრების შვილები“ სხვადასხვა სკოლებში გადაიყვანეს.

მ. ქიქოძემ თავისი მომავალი სამშობლოს ისტორიის შესწავლას დაუკავშირა. 1941 წ., სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ფაკულტეტის, საქართველოს ისტორიის ჯგუფში ჩაირიცხა. წარმატებული სწავლისათვის მას პირველივე კურსზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია დაენიშნა. მას ბედნიერება ჰქონდა მოესმინა დიდი ქართველი მეცნიერების სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, აკაკი შანიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, შალვა ამირანაშვილის, გიორგი ნიორაძის, გიორგი ჩიტაიას და სხვათა ლექციები. 1946 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის რეკომენდაციით, სწავლა ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით განაგრძო. 1947 წელს მონაწილეობა მიიღო პრაღაში გამართულ ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, მ. ქიქოძე მეცნიერულ კვლევა-ძიებას ჯერ 1950-1952 წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ეწეოდა, ხოლო 1955 წლიდან 2006 წლამდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებაში. მ. ქიქოძე საქართველოს გვიან შუასაუკუნეების პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის აღიარებული მკვლევარია. მან, ჯერ კიდევ ასპირანტმა, საყურადღებო ნაშრომი – „გივი ამილახვარის პოლიტიკური მოღვაწეობა“ გამოაქვეყნა, რომელშიც მე-18 საუკუნის დიდი ფეოდალისა და დიდად მერყევი პოლიტიკოსის მოღვაწეობა პირველწყაროების ანალიზის საფუძველზეა წარმოჩენილი. სწორედ აღნიშნულ პრობლემას მიუძღვნა მ. ქიქოძემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი: „ქართლის სათავადო – სენიორიების ისტორიიდან (საამილახოროძ“, რომელიც 1952 წელს წარმატებით დაიცვა. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ ამ მონოგრაფიულ გამოკვლევასთან დაკავშირებით წერდა: „მ. ქიქოძემ საკმარისი პირველწყარო შეაგროვა თემის გარშემო, ხსენებული სათავადო ღირსშესანიშნავი ადგილებიც მოიარა და მიღებული მასალა გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიის ქარგაზე საკმაოდ მწყობრად გაშალა. ავტორი შესანიშნავად ახერხებს სოციალურ-პოლიტიკური საკითხების მართებულად დასმას და გაშუქებას. დისერტანტი დამაჯერებლად გვიჩვენებს ქართლის ამ სათავადოს სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ბუნებას. ქართლის სათავადოების მეცნიერული შესწავლის კვლევაში მ. ქიქოძის ნააზრევი მნიშვნელოვანი შენაძენია.“ არა ნაკლებ საყურადღებოა მ. ქიქოძის ის ნაშრომებიც, რომლებშიც ავტორმა კაპიტალისტური ხანის საქართველოს ისტორიის მანამდე ნაკლებად შესწავლილი ასპექტი გააშუქა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის რვატომეულის შექმნაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. ქიქოძის მონოგრაფია – „ვახტანგ მეექვსის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობაძ“ თბ., 1988 წ., რომელიც გამოქვეყნებისთანავე ისტორიკოსთა სამაგიდო წიგნად იქცა. ნაშრომი წერილობითი წყაროების მდიდარ ბაზისს ეფუძნება. პირველწყაროთა ერთი ნაწილი თვით ავტორის მიერაა გამოვლენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში პირველადაა შესული. მონოგრაფიაში ყოველმხრივაა განხილული ვახტანგ მეექვსის მეფობის ეპოქა. კრიტიკულადაა შესწავლილი და შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის შესახებ არსებული თვალსაზრისები და შემოთავაზებულია საკვლევი პრობლემის საკუთარი, ორიგინალური ხედვა.

1976 წ. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის მ. ქიქოძე, ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის სანუკვარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.

მ. ქიქოძემ დიდი წვლილი დასდო, მისი მეუღლის – ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, გურამ ასათიანის ნაშრომების ოთხტომეულის გამოცემას და საზოგადოებისათვის წარდგენას. ასევე მ. ქიქოძის სახელს უკავშირდება მამის – გერონტი ქიქოძის პოლიტიკური წერილების კრებულის – „პატარა ერის ხვედრი“ (2003 წ.ძ გამოცემა. მან არც თავისი ბიძაშვილი, 1937 წლების რეპრესიების მსხვერპლი, გივი ქიქოძე დაივიწყა – შესავალი წერილით გამოაქვეყნა მისი ნაშრომი „ანდრე ჟიდი“.

მ. ქიქოძეს ყველა პირობა ჰქონდა უბედნიერესი ქალი ყოფილიყო. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მისი სიცოცხლის გზა დიდ სიხარულთან ერთად, გულის დიდი ტკივილით იყო აღსავსე. ერთადერთი ვაჟის, ოჯახის შემოქმედებითი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლის ლევან ასათიანის მოულოდნელმა გარდაცვალებამ, მანანას სიცოცხლის სურვილი საბოლოოდ დაუკარგა. უფალს ყოველდღე სულიერი და ფიზიკური ტანჯვის შეწყვეტას შესთხოვდა.

უდიდესი სევდითა და სინანულით ვეთხოვებით მანანა ქიქოძეს, გამორჩენილ მკვლევარ-ისტორიკოსს, საქართველოს ულამაზეს დიდ ქალბატონს, კეთილშობილებითა და კეთილზნეობით გამორჩეულს, სამშობლოს ჭირისუფალს, ულალატო მეგობარს, მიმტევებელსა და სულგრძელს.

მსუბუქი ყოფილიყოს მანანა ქიქოძისათვის ქართული მიწა, რომელიც ასე უყვარდა და ასე ერთგულად ემსახურა.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა
და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი,
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ისტორიკოსი, ქართველი ერის მშვენება

**მანანა ქიქოძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სულთათანა

# ღვთისგან ნაბოძები სიკეთით სავსე კაცი



კიდევ ერთი სულით და ხორცით ლამაზი კაცი შეიწირა უკურნებელმა სენმა. დახვეწილი ვაჟკაცი, ღირსეული, რაინდული თვისებებით გამორჩეული ვახტანგ ნონიკაშვილი ჯერ მხოლოდ 57 წლისა იყო. ამ ასაკში მართლაც რომ ბრალია ასეთი კაი ყმის გარდაცვალება, მაგრამ რას გაუგებ ამ წუთისოფელს – „სცდების და სცდების სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად“... უმძიმესი ქირურგიული ოპერაციები გადაიტანა, ბევრსაც გაუძლო... ბოლოს მაინც თავისი გაიტანა არსთაგანმრიგემ...

წარჩინებული მოსწავლე (დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლაძ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის („გეპეის“ძ კვების მრეწველობის ფაკულტეტის მანქანებისა და აპარატების სპეციალობის სტუდენტი, ჭაბუკობიდანვე იყო ბრწყინვალე კალათბურთელი (სამწუხაროდ, ტრავმის გამო გამოაკლდა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა რიგებს!ძ, გამორჩეული ერუდიტი და მოაზროვნე (მაშინდელი საკავშირო სტუდენტ-ინტელექტუალთა შეჯიბრებების („რა, სად, როდის?“ძ ექვსგზის გამარჯვებული, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, იუმორის უზადო ნიჭით დაჯილდოებული... დიდი სპორტულ-საზოგადოებრივი დატვირთვის გამო არასდროს უთხოვია სწავლაში შეღავათები, პირიქით, მათემატიკისა და ტექნიკის საიდუმლოებებს მშვენივრად ფლობდა, ცოტა მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობაც დაამთავრა და შესანატრ პროფესიონალად ჩამოყალიბდა...

მუშაობდა აზერბაიჯანში, მოლდავეთში, რუსეთში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოღვაწეობდა საქართველოს შემოსავლების სამინისტროს სისტემაში, ბოლო ხანს იყო აუდიტის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი, განყოფილების უფროსი. ამ საოცრად რთულ და ფაქიზ სამსახურში ვერ იპოვით ადამიანს, ვისაც ვახტანგ ნონიკაშვილის გვერდით ემუშაოს და მისი უანგარობით, თავაზიანობით, სხვათა თანადგომის გამორჩეული ნიჭით არ აღფრთოვანებულიყოს.

სამსახურის „გარეთ“ ვახტანგ ნონიკაშვილმა, როგორც დიდი სამეგობროს თვალმა, ბრწყინვალედ იცოდა სამყაროს, სამშობლოს, ოჯახის მშვენიერების აღქმა. შვილები, მეუღლე, დიდი სანათესაო და სამეგობრო მისი არსობის პური იყო. ამიტომაც მას არასოდეს დავივიწყებთ და მუდამ ჩვენს გვერდით იქნება. სწორედ „დიდ სოფელში“ ასე წასული კაცი მოიხსენიება გარდაცვლილად, ვახო ნონიკაშვილი ჩვენთვის არასოდეს მოკვდება, ის უბრალოდ ნაადრევად გაგვერიდა.

უფლის წყალობა არ მოაკლდება მის ნაშიერს, მასზე მლოცველ მეუღლეს და ოჯახის სამეგობროს. ღმერთი თაობებს გადასცემს ვახტანგის მართალ სახელს, ნამდვილ კაცობას, სუფთა და ლამაზ სულს...

ამ საოცარი ჭირისა და გულწრფელი ცრემლის დღეებში ცოტა ძნელი სათქმელია სიტყვა „ბედნიერება“, მაგრამ... იმდენი ჭირისუფალი და დამფასებელი დარჩა ვახო ნონიკაშვილს, ბედნიერია მისი შვილები, ჯერაც სრულიად ყმაწვილკაცები ალექსანდრე და დავითი, რომ მამის დიდი კაცობის შესახებ, ჭეშმარიტი ნაღვაწის შესახებ, მისგან სამაგალითოდ მოვარგებული წუთისოფლის შესახებ, ქართული ტრადიციების პატივისცემის შესახებ ნამდვილ ლეგენდებს მოისმენენ. აი, მაშინ გააჟრჟოლებთ მათ ყველაზე მეტად მამის ხსოვნა-სახელი და მაშინ მიხვდებიან, თუ ვინ და რა უდროოდ დაკარგეს!

ვახტანგ ნონიკაშვილი ღირსია მარადიული მოგონებისა, მარადიული სანთლისა შვილებისა და მომავალი შვილიშვილების გულში! მისი სიყვარული და ვაჟკაცური მადლი მუდამ დიდების შარავანდედივით დაადგება მის ლამაზ ოჯახს.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა ღვთისგან ნაბოძები ღირსებებით შემკულო კაცო!

*ოჯახისა და მეგობრების სახელით –*
**სპარტაკ ქობულია**

მეუღლე ქეთევან ბარათაშვილი, და გულიკო, შვილები ალექსანდრე, დავით ნონიკაშვილები, დეიდა ნანული ჩხეიძე, ცოლისდები ნათელა, რუსუდან ბარათაშვილები, ქვისლი ფრიდონ ლოლაძე, დისწულები თამუნა, ბაჩო, კახა, ლაშა კენჭაძეები, ცოლის დისწულები კოკა, სოსო მამულაიშვილები, ვახტანგ, ნათია ლოლაძეები, დეიდაშვილი ნანა კობერიძე, ბექა, ბესო ელბაქიძეები, უახლოესი ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ ალექსანდრეს ძე ნონიკაშვილი**

გამოსვენება დღეს, 22 XI, 14 სთ. ყაზბეგის გამზირი №34ა (ევროპულ სკოლასთანძ, დაკრძალვა საბურთალოს პანთეონში.

თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის 1952 წლის კურსდამთავრებულები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ მეგრელიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.



იზოლდა ჩინჩალაძე, ჯონი, თამარ გეფერიძეები სამძიმარს უცხადებენ დავით და თათია ფორჩხიძეებს მამის, მანანა არსენიძეს მეუღლის, ნინო გეფერიძეს მამამთილის

**ჯემალ ფორჩხიძის**

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 22 XI, 14 საათზე, ქ. ტყიბული, გრიგოლ რობაქიძის ქ. №10.

ინფორმაცია

## ბათუმის მერიის გამწვანების სამსახურის უფროსი დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ბათუმის მერიის გამწვანების სამსახურის უფროსი კახაბერ გუჩმანიძე დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გუჩმანიძემ მეწარმეს ტენდერის გამოცხადებისა და მასში გამარჯვების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 25 000 აშშ დოლარი გამოსძალა.

დანაშაული ითვალისწინებს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

## დაიჯესტი

### ჰოლივუდის სახალხო რემბო



**სილვესტერ სტალონე, რომელსაც ახლახან 65 წელი შეუსრულდა, ჰოლივუდში ერთ-ერთი გამორჩეული, გასაოცარი ბედის პატრონია, თანაც ამ მსოფლიო კინოს მექაში საყოველთაოდ საყვარელი და გამორჩეული პიროვნებაა.**

ბოლო ოცი წლის მანძილზე მან, ფაქტობრივად, ყველა ხელსაყრელი რეჟისორული წინადადება „გამაზა". იგი თითქოს ჩამოაგდეს კიდეც ვარსკვლავური ტახტიდან, მაგრამ მაყურებელთა სიმპათია არ დაუკარგავს, იგი კვლავაც უყვართ, თუმცა კი უფრო ძველი დამსახურებისთვის. იგი ახლა, უმეტესად, ძველი ფილმების სიკვლებს იღებს, რომლებმაც იგი ვარსკვლავად აქცია. მასში ძველი ბოევიკების ძველი ვარსკვლავები თამაშობენ, მაგრამ ხალხი ამ ფილმებს მაინც ხალისით უყურებს.

კიდევ სტალონე თავისებურად ლამაზი მამაკაცია – ახლაც შეუძლია ისეთი სახის „დალაგება", ჭაბუკებს შეშურდებათ, გოგონები კი გულში ამოიოხრავენ. ახლა, როცა არნოლდ შვარცენეგერს კინოსთვის აღარ სცალია, სტალონე ბოევიკების კინოს ერთ-ერთი ბოლო გმირია, მისი წარუმატებლობები კი ისევ იმ იარებს ჰგავს, რომლებიც მამაკაცებს ზოგჯერ დიდად უხდებათ კიდეც.

### მართლაც რომ თვალისჩინ- დაკარგული ყოფილა



**სიყვარული მართლაც „ბრმა" ყოფილა და ამის დამადასტურებელი სამეცნიერო დასაბუთება ესპანელმა მეცნიერებმა შეძლეს.**

მათ აღმოაჩინეს თავის ტვინის ის უბანი, რომელიც მაშინ აქტიურდება, როცა ადამიანი რომანტიკულ, ან დედურ სიყვარულს განიცდის. აღმოჩნდა, რომ ამის პარალელურად მაშინვე იკლებს თავის ტვინის სხვა უბნის აქტივობა, რომელიც... განსჯასა და ვითარების საღად შეფასებაზეა პასუხისმგებელი!

– როცა კაცს უყვარდება, იგი თავისი სიყვარულის ობიექტის გაკრიტიკების უნარს კარგავს, – აცხადებენ კვლევის ავტორები. – ტრფობის საგნის ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვით ჩვენ იმ იდეალური სახის შენარჩუნებას ვცდილობთ, რომელიც ნაცნობობის პირველ დღეებში შეგვექმნა, ანდა ბუნებრივად დაგვყვა.

### ქრისტინა ლაგარდის „კაი სამსახური"



**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი ხელმძღვანელის ქრისტინა ლაგარდის კონტრაქტი ერთობ საგულისხმო დოკუმენტია. ამ ორგანიზაციის ყოფილ უფროსთან დომინიკ სტროს-კანთან დაკავშირებული სკანდალი, მართალია, ჩაცხრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მადამ ლაგარდის კონტრაქტში საგანგებოდაა შეტანილი მუხლი მისი მხრიდან ყოველგვარი ამორალური მოქცევის გამორიცხვის თაობაზე.** უნდა ითქვას, რომ ამგვარი „თავშეკავების" „წამახალისებელი" ხელფასი, არც მეტი, არც ნაკლები, წლიური 470 ათასი დოლარია, რაც 11 პროცენტით მაღალია „შეუმდგარი მოძალადის" სტროს-კანის ხელფასზე. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახლანდელ ხელმძღვანელს უფლება აქვს ანგარიშჩაუბარებლად წელიწადში დახარჯოს კიდევ 85 ათასი დოლარი, ასევე წარმომადგენლობითი ხარჯი გააფორმოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა „სიამოვნებაზე" და, ამასთან ერთად, აანაზღაუროს თავისი პარტნიორის მსოფლიოში გადაადგილების მთელი ხარჯი.

### განათლება და... დედობა



**უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა ბრიტანელ ქალთა მესამედს შვილი არასდროს ეყოლება, მიაჩნიათ ინგლისელ მკვლევარებს. ზოგიერთი მათგანი ამ არჩევანს შეგნებით აკეთებს, სხვები უბრალოდ ვერ ახერხებენ კარიერის, ოჯახური ცხოვრებისა და დედობის შეთავსებას.** პრესტიჟული სასწავლებლების კურსდამთავრებულები საერთოდაც გვიან ხდებიან დედები იმათთან შედარებით, ვისაც უმაღლესი განათლების მიღება მიზნად არ დაუსახავს. ეს ფენომენი იმის ახსნას იძლევა, თუ რატომ არის, რომ მოსახლეობა მარტო ბრიტანეთის კუნძულებზე კი არა, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებიც ბერდება.

### მზის შუქი და... „ბედნიერების ნარკოტიკი"

**თვე, როცა ჩვენ ვევლინებით ქვეყანას, მართლაც ზეგავლენას ახდენს ჩვენს ხასიათზე, აცხადებენ შვედი მეცნიერები. ოღონდ ამ ზეგავლენას ზეცაზე ვარსკვლავთა ადგილმდებარეობასთან საერთო არაფერი აქვს, განმარტავენ მკვლევარები.**

თურმე მომავალ ხასიათზე ზემოქმედებს... მზის სინათლე, რომელსაც დედა მშობიარობისას იღებს – იგი სეროტონინის დონეს ზრდის, რომელიც ბუნებრივ „ბედნიერების ნარკოტიკს" წარმოადგენს.

გაზაფხულზე დაბადებულ ქალებს სეროტონინის დაბალი დონე აქვთ, რადგან ისინი დედის მუცელში ზამთრის გრძელი თვეების განმავლობაში იმყოფებოდნენ. სეროტონინის დაბალი დონე იმპულსურობასა და აგრესიულობასთანაა დაკავშირებული, იგი ჭარბი გრძნობისა და ნევროზულობის მიზეზია.



თებერვლიდან აპრილამდე პერიოდში დაბადებულ მამაკაცებს, წესით, დოპამინის შემცველობის დაბალი დონე უნდა ჰქონდეთ – ეს ადამიანის გუნება-განწყობაზე პასუხისმგებელი კიდევ ერთი ნივთიერებაა, რომელიც მზის სხივების ზემოქმედებით ყალიბდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი იმპულსურნი, თუმცა კი ცხოვრებაში მიზანმიმართულნი იქნებიან.

ოქტომბრიდან იანვრამდე პერიოდში დაბადებულ მამაკაცებს კი დოპამინის მაღალი შემცველობა ექნებათ, შესაბამისად, მათ უფრო რბილი ხასიათი ექნებათ.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ბორის გოდუნოვი, ვიაზმის ბოიარი, ივანე მრისხანეს დროს აღზევდა, რუსეთის ფაქტობრივ მმართველად კი იქცა თეოდორ ივანეს ძის მეფობის ხანაში. ივანე მრისხანეს მეორე ვაჟიშვილი დიმიტრი 1591 წელს საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. 1598 წელს ბორის გოდუნოვმა თავი მეფედ გამოაცხადა. ხალხმა არ დაიჯერა უფლისწულ დიმიტრის სიკვდილის ოფიციალური ვერსია — უბედური შემთხვევა, რამაც რამდენიმე ცრუდიმიტრის გაჩენას შეუწყო ხელი საბოლოოდ გარდაცვლილი უფლისწული წმიდანად შერაცხეს, ხოლო ბორის გოდუნოვი რუსეთის ისტორიაში ტრაგიკულ ფიგურად —„ბიჭუნათმკვლელის" სახელით შევიდა.

● პირველი მსოფლიო ომის წინ ლიბერალური რუსული ინტელიგენციის წრეებში ნიკოლოზ მეორეზე ამბობდნენ, მეფე კი არა, მეფე-მეფეაო, რადგან მეფე-ზარბაზანი არ ისვრის, მეფე-ზარი არ რეკავს და მეფე-მეფე არ მართავსო.

● საზოგადოებაში, მას შემდეგ, რაც 1867 წელს პარიზში გამოქვეყნდა ალექსანდრე დიუმა-შვილის პიესა „მადამ ობრეის იდეები", დამკვიდრდა ტერმინი „ალფონსი".

● მართალია, ნაპოლეონმა აღიარა გაზეთის შესაძლებლობები, თუმცა თავისი მმართველობის განმავლობაში მას ებრძოდა და ამბობდა, გაზეთი ცხვირსახოცზე დიდი არ უნდა იყოსო.

● ღორი ხმელეთის ცხოველთა შორის საუკეთესო მოცურავეა. მისი სწორედ ეს თვისება გამოიყენა სუვოროვმა მდინარე ადუს მისადგომებთან: წყალში ყველაზე მსუქანი ღორი ჩაუშვა. ღორი დაიხრჩო, ამიტომ სუვოროვმა მდინარის ცურვით გადალახვაზე ხელი აიღო და პონტონების აგებას შეუდგა.

● აინშტაინმა, როდესაც პრინსტონის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებას აპირებდა, ხელფასად 3000 დოლარი მოითხოვა. მას 16000 დოლარი გადაუხადეს.

● ცნობილმა მეცნიერმა დალტონმა ლონდონის სამეფო საზოგადოებას თავისი თვალები უანდერძა.

● ლეონადრო და ვინჩის სამუშაო რვეულში სხვადასხვა ნახატისა და მოწყობილობების ნახაზებთან ერთად კულინარული რეცეპტებიც გვხვდება, მაგალითად, „ფუტკრის ტორტი".

● „რა თანხას ინატრებდით,რომ ბედნიერად გეგრძნოთ თავი?" — ჰკითხეს ერთხელ ბერნარდ შოუს. „ზუსტად იმდენს, რამდენსაც ჩემი მეზობლების ვარაუდით ვშოულობ"... — უპასუხა დრამატურგმა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

## კადრი



## ანეკდოტები

**აქოშინებულმა ქმარმა სახლში მიირბინა და ცოლს მიახარა:**

– გალკა, სასწრაფოდ ჩაიცვი! ცირკთან კონტრაქტი გავაფორმე და არენაზე უნდა გამოვიდეთ!

– რას ამბობ, კაცო! ცირკში რა უნდა გავაკეთოთ, ჩვენ ხომ არაფერი არ ვიცით?

– რა ცოდნა უნდა, ქალო, სქესობრივი აქტი უნდა შევასრულოთ სცენაზე, განა სხვა რამეს დაგვავალებენ. გადაირევა ხალხი!

– მაშინ კარგი, ოღონდ ცოტა ხნით დამელოდე, მეზობლის კაცთან შევირბენ.



– რა ჭირად გინდა?

– რა და, ბისზე რომ გამოგიძახონ, გამეორებას შეძლებ?

**რატომ არის, რომ თეთრი ძაფი, რომლითაც ორი ახალი წინდაა შეერთებული, მუდამ უფრო მაგარია, ვიდრე ის ძაფი, რომლითაც ეს წინდებია მოქსოვილი?**

* * *

– მიხო, შენი ჯინსები მეზობელ ნიკას მივეცი, – ეუბნება ცოლი.

– რატომ?

– შენ ხომ მაინც არ მოგწონდა.

– მაშინ დედაშენიც მეზობელს მივცეთ.

* * *

ექიმმა პაციენტის გამოკვლევა დაამთავრა და დაფიქრებით ჩაილაპარაკა:

– მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია – ჩემამდე როგორღა მოაღწიეთ?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24